


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭე-
უჭი სიღვავა, ტყუილებით და ჭიბებით ბუბ-
თის გატანა ყველა უკადრისძობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 30 სექტემბერი. 2016 წ. №182 (8074), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



გიორგი კვირიკიძე:
2012 წელს მოვიბაო ბრძოლა, ახლა რთი უნდა მოვიბოთ!

ნაცხადის გადასაღწევი საბრძოლო მასალა და ცეცხლსასროლი იარაღი აღმოჩენილია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკიძემ საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მარაგის აღმოჩენის შესახებ განცხადება გააკეთა.

— ეს იყო კომპლექსური ოპერაცია, ძალიან წარმატებული. მე მინდა მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს და ყველას, ვინც მიიღო ამ ურთულეს ოპერაციაში მონაწილეობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან და მთავარ პროკურატურასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მარაგს მიაგვლია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილებიდან ამოღებულია დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მონაცობილოები.

06. 11 83.



შევდგები ცერზე, როგორც ავაზა...

სახალხო პოეტი, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, მაიაკოვსკის და შურნალისტა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ პრემიების ლაურეატი; 2014 წელს მიენიჭა „პოეზიის მეფის“ წოდება.

არის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი. თბილისის, მცხეთის, სოხუმის, ბორჯომის, ცაგერის, ხობის საპატრიო მოქალაქე, მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე. დღეს ჯანსუღ ჩარკვიანი — რწმენის, იმედის, სიყვარულის, სიცოცხლის პოეტი, იუბილარია!

ვულოცავთ დიდ შემოქმედს და ერისკაცს 85 წლის იუბილეს. 85 წელიწადი! — „მაი აფერი“, შენ წლები კი არა, სიბრძნე და სიკეთე გემატება... გულს სიხარული აცოცხლებს, ჩვენო ჯანსუღ! შენს სიცოცხლეს გაუმარჯოს! შენს უკვდავებას, შენი სიტყვის და კაცობის უკვდავებას გაუმარჯოს! შენ ხომ რუსთაველისა და გალაკტიონის ქვეყანაში ყველაზე ლამაზი ლექსის („ლამაზი სიკვდილი“) ავტორი ხარ!! გვეამაყები!

გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით **საპრეტაპ ქოზულია**

ლამაზი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს, მზეს რომ მისწვდება ირმის მღაფილი, შემოასკდება როცა ალუბალს მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.

როცა კვირტები აფეთქდებიან, მთებს გადიფრენენ ფრთების ტკაცუნით, როცა ირმები დაფეთდებიან, მზეს შეხედავენ რქებში ჩაწურვილს.

როცა მერცხალი ზეცას შეუტევს, როცა მიწაზე მზე და დარი დგას, ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.

როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის

საგვირილოდ და საენძლოდა, ირემი ირემს მალახს გაუწვდის და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა.

როცა ძეწნები ატირდებიან და აკოცებენ ვაზებს ხარდნები, — შევხედავ ზეცას ნატვრისთვლებიანს, ავტირდები და ავხანხარდები.

მოიგონებენ წარსულს მკვიდრები, აბუზუნდება ქვეყნად ყველა მთა, გავდიადდები, გავსულდიდდები და ავეთები მამულს კელაპტრად. შევდგები ცერზე, როგორც ავაზა, ერთს გადავხედავ დღევანდელ გაფრენილს, მერე მოვკვდები ისე ლამაზად, ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

06. 5 83.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“

დროებით ვაჩივებთ მასალის გამოქვეყნებას, მაგრამ ვაბრძობთ მუშაობას!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“ დიდ მადლობას უხდის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, რომ გვქონდა საშუალება 12 აგვისტოდან, დიდგორიდან მოყოლებული, ყოველ პარასკევს, პრაქტიკულად **ჯვართამაღლებამდე**, მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა როგორც მათთან შეხვედრების, ასევე ჩვენ მიერ მომზადებული ანალიზები, მოსახლეობისათვის წარგვედგინა ის პიროვნებები, რომელთაც საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვთ.

ჩვენ ვეთანხმებით ხალხის აზრს, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, აღარ შეიძლება ქვეყანა პარტიების დიქტატით ცხოვრობდეს, ცხოვრობდეს იმ პარტიების დიქტატით, რომელთა მმართველი რგოლი დაკომპლექტებულია სოროსელებით, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებითა და ენ-დი-აი-ს დამფუძნებლებით; რომ აღარ შეიძლება ცხოვრება პარტიათა ასეთი დაპირისპირებისა და მუდმივი რევანშიზმის პირობებში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით, ჩვენ თქვენთან ერთად და თქვენი მონაწილეობით, ვსაუბრობდით მომავლის საქართველოზე.. ვაქტია, რომ „ნაციონალების“ ცხრანლიანმა და პრეზიდენტის რანგში მიხეილ სააკაშვილის ათწლიანმა დიქტატურამ, ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა, ჩვენ გვაცხოვრეს ყალბი ეროვნული პათოსის, დემოკრატიის თამაშის და სოციალური დემაგოგიის და ბუტაფორიული სახელმწიფოს პირობებში. ჩვენ ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ოთხ წელიწადში მდგომარეობის რადიკალური შეცვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ვადასტურებთ იმასაც, რომ შეცდომა იყო ქვეყნის გარედან შემოგდებულ კოჰაბიტაციასზე დათანხმება, რომ უმძიმესი მდგომარეობის შეცვლა გაცილებით მეტი ტემპებით შეიძლებოდა.

ჩვენი პოზიცია უცვლელია: ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები და ხელისუფლება, როგორც ეს დამოუკიდებლობის აღდგენის მთელ პერიოდში იყო და, სამწუხაროდ, გრძელდება დღესაც.

ჩვენ, არჩევნების წინ და არჩევნების შემდგომ, ერთი თვის განმავლობაში, ვაჩივებთ ხალხთან შეხვედრებისა და

ჩვენი ანალიზების გამოქვეყნებას, ოქტომბრის ბოლოს — ნოემბრის დასაწყისში, შედგება კონგრესი, რომელიც დღევანდელი მნიშვნელოვანი საკითხებთან დაკავშირებით გააკეთებს შეფასებებს, მიიღებს პრინციპულ გადაწყვეტილებებს.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი შეთავაზებს კონგრესს, რომ მომავალში გაგრძელდეს ხალხისა და ჩვენი პოზიციის გამომხატველი მასალების და მომავლის საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი პროგრამების გამოქვეყნება. ეს მოხდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ან რომელიმე სხვა გაზეთთან შეთანხმებით. ჩვენ განვიხილავთ საკითხს დამოუკიდებელი გაზეთის „ქართულის“ გამოცემის თაობაზეც. მანამდე, ტელევიზია „ქართული TV“-ს მხარდაჭერით, გაგრძელდება ყოველი ორშაბათის გადაცემა და იგი ტრადიციულად, 20.00 საათზე დაიწყება.

ჩვენი პოზიცია მომავლის საქართველოსთან დაკავშირებით ურყევია:

„ქართული, მხოლოდ ქართული გზა, ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს — ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!“

ქართული არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას, ქართული ყოველთვის ნაზიარები იყო ზოგადკაცობრიულთან. ეს იყო და არის ჩვენი ეროვნული სიმდიდრე.

გაპატივდეთ მომავლის საქართველოსთვის! ჩვენ ყველანი ვაჩივებთ მომავლის საქართველოს!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“

ბიძინა ივანიშვილი:

2012 წელს მოვიბრუნებო, ახლა რაი უნდა მოვიბრუნო!

ბიძინა ივანიშვილი გორში შეხვედრას მართავს. მათი ისტორიებიც გასაგებია და ეს მათი გავრცელებულია. ამით ცდილობენ, იმედი ჩაუტოვონ ამ 7 დღის განმავლობაში თავის თანამოაზრეებს, — განაცხადა ივანიშვილმა.

არჩევნების მეორე ტურს პროგნოზირებს

ბიძინა ივანიშვილი არჩევნების მეორე ტურს პროგნოზირებს და ამბობს, რომ მაჟორიტარული ოლქების უმრავლესობას „ქართული ოცნების“ კანდიდატები მოიგებენ. ეს მან მას შემდეგ განაცხადა, რაც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, როგორ გახდებიან ის ადამიანები დეპუტატები, რომლებიც ამომრჩევლებთან და ჟურნალისტებთან არ ურთიერთობენო.

„არ ვიცი, პირველ ტურში რამდენი გავა, მაგრამ მეორე ტურში, „ოცნების“ მაჟორიტარული დეპუტატების კანდიდატები აბსოლუტურ უმრავლესობას მოიგებენ, თუ ყველას არა. თუ ისინი ისეთები არიან, როგორც ვთქვამდეთ ამბობთ, პარლამენტში ვერ შევლენ, რადგან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობას ვერ ახერხებენ, მათ საზოგადოება არც აირჩევს“, — დასძინა ივანიშვილმა.

„სოციალური უსამართლობა არ არსებობს“ — ან ევროპისკენ მივლინართ ან დიქტატორისკენ

დღეს ორჯერ მეტი კეთდება, მაგრამ ძველებური პროპაგანდა არაა, უკაცრავად „ცოტა ფეხშიშვე“ არ არსებობს — ან მივლინართ ევროპული ფასეულობებით, ან ისე, როგორც ისინი დიქტატორისკენ გადავიდნენ, — ამბობს ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი.

მისი თქმით, დღეს ვერაფერი იტყვის, რომ ხელისუფლებას ჰყავს მედია. როგორც ივანიშვილი ამბობს, „ჯიდიისი“ მისი ტელევიზიაა, მაგრამ თვითონ არაა ხელისუფლების წევრი და ამაზე შეუძლია ნებისმიერ ჟურნალისტს „გაეკამათოს“.

მისი თქმით, მას შეეძლო გაეხსნა ბევრი ტელევიზია და დაეწყო „კარგი სიმღერა“, თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, ის და ხელისუფლება თავისუფალ მედიას გაუფრთხილდნენ.

ახლან ამბობდა... ხალხი რაი გეპინანსებდა!..

რომელიც ქვეყანა დადგა, რომ ჟურნალისტის გამოდის და მეკითხება, „ქართული ოცნებას“ ისე გაუჭირდა, რომ ფული ისესხაო. „თქვენსავე კითხვაშია მთელი სიდიდე“, — განაცხადა ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ ისესხა „ოცნებას“ ბანკ ქართულგან ფული. „არ ვიცი, პირველად მესმის. სესხს დალხინებული ადამიანი არ იღებს, ეტყობა, გაუჭირდა და ისესხეს, მთავარია, კანონი არ დაირღვეს და თუ კანონის ფარგლებში ხდება, ნორმალურია ეს საარჩევნო პროცესში“, — ამბობს ივანიშვილი.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ოპოზიციას ყველანაირი დაფინანსებას უზღუდავდა და სიმბოლურ თანხას სწირავდა. „გახსოვთ კიდეც, რამხელა რიგი დადგა „ქართუ ბანკთან“, ესაა ქართველი ხალხი და ახლაც ამბობდნენ, რომ არ დაგიმალოთ“, — ამბობს ივანიშვილი.

იქნებ მოხდეს საომრება!

„ისივე ცდილობენ, რომ ეს ნარჩენი გუნდი მოვიდეს არჩევნებამდე და იქნებ ისეთი საოცრება მოხდეს, რომ მათი მშობარია ლიდერი გახდეს გმირი“, — ამბობს ექსპრემიერი ივანიშვილი.

მისი თქმით, ვინც ცოტა ფსიქოლოგია იცის, ხედავს რომ ყველა მოძალადე მშობარაა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობა სწორედ შიშს ეფუძნება და შიში აერთიანებს.

„გორში სირცხვილი იყო, როგორ ამა-

ყად იდგა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი... სააკაშვილმა იქნებ მართლა დაძლიოს შიში, თუმცა მათ რეალობა ძალიან კარგად იციან და ეს ცხრა დღეც მოვითმინოთ“, — ამბობს ივანიშვილი მედიასთან შეხვედრისას.

საზოგადოება ვერ დაწყნარდა, რადგან „ნაციონალური“ ისევ კალაქობა

მედიც ერთ სახელმწიფოს ვერ დაძლიებულა ისტორიულად, რომ ამდენი მაღალი თანამდებობის პირი დასჯილიყო,



მიხეილ
სააკაშვილს
კალიან
კარგი
საკანი
ელოდება!

თუმცა ხალხი ობიექტურად ვერ დაწყნარდა ერთი მიზეზით — „ნაციონალური“ ისევ ძალადობენ, სიტყვა „კადაფიზაციას“ ახსენებენ, წარმოადგენიათ, სად არიან ნასულეები, — განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გადაცემაში „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“.

მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ ამდენი მაღალჩინოსანი დაჭერილია, ზოგი დევნაშია, ყველა მაჩვენებელი ქვეყანა წინ მიდის.

„ჩემი პირადი განცდების გარდა, რაც მე პირადად ამერიკელებთან და ევროპელებთან პირადი საუბრებით ვიცი, ამის გარდა ნახეთ სტატისტიკა. ადამიანის უფლებების მხრივ, ადამიანის უფლებებზე მორგებული ყველა დემოკრატიის ინსტიტუტი, მედიის თავისუფლება გნებავთ, ბიზნესის თავისუფლება გნებავთ, ეკონომიკა გნებავთ, ყველაფერი გვაქვს მკვეთრი გაუმჯობესება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

„მასსოვს, ევროპაში ჩავდივარ, 3-კაციანი შეკრება მოგვინია იურმალაში, ქალაქგარეთ გამიყვანეს, იქ იყო 3-4 პრემიერ-მინისტრი, ათი საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერდენტი, საოცარი შეხვედრა იყო. ასე მანველობდნენ, არც ერთ შეხვედრაში არავის არ გაეკარო, მხოლოდ წინ იყურეთო. როგორ ვიყურებო, მე ვუხსნიდი, ჩვენც საზოგადოება ვართ, ჩვენ ისტორიული ქვეყანა ვართ, პატივცემული ხალხი ცხოვრობს ჩვენთან, ხალხს ამდენი აგრესია აქვს, ესეთი დემოკრატია აქვს, როგორ, რაინაირად უნდა მოხერხდეს, ან ხელოვნურად როგორ შევარჩეო, კანონმდებლობა გვაქვს, აქ ხომ კანონმა უნდა იმუშაოს. ეს პროცესები იყო უკიდურესად დაძაბული და მე ვფიქრობ, რომ აქ იყო ყველაზე დიდი გარღვევა, რაც გავაკეთეთ“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

აქვე, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ დღევანდელი მთავრობას უკეთესი ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან.

„ნაციონალური მოძრაობისთვის“ ყველაზე დიდი ტრაგედიაა, რომ ძირითად პარტნიორთან გაცილებით უკეთესი ურთიერთობა გვაქვს. ძირითადი, რასაც ცდილობდნენ, იყო ეჩვენებინათ, რომ ვიღაც მტერი მოვიდოდა და ქვეყნის დანგრევა მი-

და, მიმართულების შეცვლა მინდა. გარნმუნებთ ამაშიც, რომ ძალიან დიდი ავტორიტეტით ვსარგებლობ პირადადაც და ნებისმიერ შეხვედრაში ეს გამოიკვეთა. ევროპელებთანაც გაცილებით უკეთესი გვაქვს დამოკიდებულება და აღფრთოვანებული არიან იმ რეფორმებით, რაც საქართველოში გატარდა, მასსოვს ევროკავშირის ელჩთან ბოლო შეხვედრა, მომილოცა პირდაპირ. საოცრება ხდება საქართველოში, ამ ფონზე ევროპაც კი უარესად გამოიყურება, როგორი სტაბილური ქვეყანა გახდა იმ ფონზე, რაც იყო. ჩვენ გავაღრმავეთ ურთიერთობა და ჭეშმარიტი ნდობა მივიღეთ ევროპელებისგან და ჩვენი პარ-

ტიორისგან, აშშ-სგან“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

სააკაშვილი ამბობს, ნარჩენი მოხდება, მისი მეუღლე ახსნა და, მისი „გუნდის“ ბათის სოლოქაქაძე

„მათი ღია განცხადებები ნახეთ და ეს ღია კონტექსტში უნდა იქნებოდეს. მათი ლიდერის განცხადება ნახეთ, აცხადებს, რომ „რუსთავი-2“ დადებს ეგზიტპოლეს და ეს იქნება ერთადერთი ჭეშმარიტება და თუ ასე არ მოხდა, წარღვევის მსგავსი რამე მოხდებაო, მის მეუღლის განცხადება ნახეთ, რომ ტუნელი გათხრის და ჩამოვა სოლოქაქაძე“, — განაცხადა ფარული ჩანანერების გამოქვეყნების თემაზე საუბრისას ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, ჩანანერის ავტენტურობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მათ განცხადებებში ჩანს იგივე პათოსი და დანყებული 2012 წლიდან ერთმანეთს „ამაგრებდნენ იმით, რომ გაზაფხულზე, სან შემოდგომაზე გეგმავდნენ რეფორმაციას და მსგავსი ხდება ახლაც“, — ამბობს ექსპრემიერი.

2012 წელს მოვიბრუნებო, ახლა რაი უნდა მოვიბრუნო

მძსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი არჩევნების გაყალბებას გამორიცხავს. რეგიონულ ჟურნალისტებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ არჩევნების გაყალბებაზე საუბარი უნდემეტია.

„9 დღეც მოვითმინოთ და დასრულდება. ჩვენ მოვიგებთ ბრძოლა 2012 წელს. ახლა პირობითად რაი უნდა მოვიგოთ. ჩვენ ეს 4 წელი ღირსეულად გავიარეთ. ვერაფერი იტყვის, რომ არჩევნების გაყალბებაზე საუბარი, გარდა მათი აგონიური გამოხატვებისა. იდეალური საარჩევნო სიტუაციაა. არავის მმართველ გუნდში აზრად არ აქვს, რომ არჩევნებში რაიმე ყალბი მოხდეს. კარგი განწყობა აქვთ ევროპელებსაც და ამერიკელებსაც. ნახეთ ელჩის განცხადება, ნეტა ამერიკაში იყოს მსგავსი სიტუაციაო. და-

ბალანსებულია ყველანაირად. მათი ისტორიებიც გასაგებია და ეს მათი გავრცელებულია. ამით ცდილობენ, იმედი ჩაუტოვონ ამ 7 დღის განმავლობაში თავის თანამოაზრეებს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ყველაზე მეტად დაზარალებული და გაღიზიანებული ირაკლი კობახიძის განცხადებით

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ირაკლი კობახიძის მიხედვით სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენებების მიცემაში მისგან არანაირი დამატებითი გარანტიები არ მიუღია.

როგორც ივანიშვილმა გორში რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, კობახიძის განცხადებებს არ საჭიროებდა.

„ის არ საჭიროებდა ამ გარანტიებს. ყველაზე მეტად დაზარალებული და გაღიზიანებული „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი პარტნიორებიდან ის გახლდათ.“

შეიშავის კომპლექსიანი ნაციონალური მოძრაობა და ამ ფონზე არიან ისინი ერთად შეყრილი

თუ ეს ავტენტურია, მათივე დადებულია, გარნმუნებთ, არავის არ აინტერესებს მათი მეტს, — ასე გამოხატა ბიძინა ივანიშვილი გავრცელებულ აუდიონაწარს, სადაც საგარეო დიპლომატიის მინისტრი ნაციონალური მოძრაობის წევრებთან საქართველოში რეგულაციურ სტენარს განიხილავს.

როგორც ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას აღნიშნა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის „ახალი მხედართმთავარი“ აკაკი მინაშვილი იქნება.

„აკო მინაშვილმა მისცა თანხმობა, რომ უნდა ესარდლა. მე რაც მაქვს ინფორმაცია. მხედართმთავრად აკო მინაშვილი ინიშნება და ამას აქვს ხიბლი, რა თქმა უნდა“, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა და დასძინა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ნახევრად სერიოზულია.

„ავტენტურობას რაც შეეხება, ამას დიდი კვლევები არ სჭირდება და არცაა საჭირო ავტენტურობის დადგენა. მათი ღია განცხადებები ნახეთ და ერთ კონტექსტში უნდა იქნებოდეს. საკუთარი ხელწერა ვერ შეცვალეს, არ აქვთ ამის ნიჭი, არ აქვთ ამის რესურსი. ძალადობით იყვნენ ცნობილი, ქვების სროლით მოვიდნენ, გახსოვთ. ასე ამხნევებენ ერთმანეთს, რომ იქნებ არჩევნებამდე მოვიდნენ, იქნებ მათი ლიდერი უცებ გახდეს გმირი. გახსოვთ, მთელი მსოფლიო მოიარა ნაციონალურ ლიდერის ფოტომ, სირცხვილი იყო. სიმბოლო გახდა ეს ფოტო შიშის. იქნებ ახლა, მართლა დაძლიოს შიში. სხვათა შორის, მშობრების კომპლექტაციაა ნაციონალური მოძრაობა და ამ ფონზე არიან ისინი ერთად შეყრილი და ის ძალადობა, რასაც სწადიოდნენ შიშზე დაფუძნებული ვინც ოდნავ ფსიქოლოგია იცის, ყველა მოძალადე ძალიან დიდი მშობარაა.“

მიხეილ სააკაშვილს კალიან კარგი საკანი ელოდება

ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის მეუღლის სანდრა რულოვსის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, თუ საჭირო გახდა, სააკაშვილი ოდესიდან სოლოქაქაძე გვირავს გათხრის და საქართველოში ჩამოვა.

„რაც გვირავს უთხრის მისი მეუღლე მასვე. სხვათა შორის, ჩვენ არცთუ ისე შორს ვართ ევროპისგან ამ მხრივ. სასჯელის რულოვსის სამინისტროს მოვიყვან მაგალითად. ჯურღმულში და გვირავში არ ვაცხოვრებთ ჩვენ მის მეუღლეს. კარგი გამართული საკნები გვაქვს. მას ძალიან კარგი საკანი ელოდება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

1905 წლის დასაწყისში, იმპერიაში შექმნილი ურთულესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსასვლელად, იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ, შინაგან საქმეთა მინისტრს ბულიგინს, წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებისათვის კანონის პროექტის შემუშავება დაავალა. რამდენიმე თვეში ასეთი დოკუმენტი უკვე მზად იყო. გადაწყვიტა, რომ 1906 წლის გაზაფხულზე მონვეული იქნებოდა სახელმწიფო სათათბირო, რომელშიც მრავალსაფეხურიანი არჩევნების საფუძველზე შევიდოდნენ მოსახლეობის ყველა წოდების, კლასისა და ფენის წარმომადგენლები...

აღსანიშნავია, რომ ეს კანონი კავკასიის რეგიონზე არ ვრცელდებოდა, აქაოდა იქ სისხლიან რევოლუციურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, ანუ კავკასიის სამეფის-ნაცვლის მ-მილიონიანი მოსახლეობა არნახული დისკრიმინაციის წინაშე დააყენეს. მაშინ აქაური მოსახლეობის რჩეული შვილები, ილია ჭავჭავაძის თავკაცობით, მეფისნაცვალს – გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ვახლენ და ასეთი უსამართლობის გამო პროტესტი განუცხადეს; მან კი ხელეები გაასავსავა, ეს ჩემი საქმე არ არისო და სახელმწიფო საბჭოში გადაამისამართეთ, საარჩევნო კანონში კორექტივების შეტანა მხოლოდ მას შეუძლიაო. კავკასიელ მოღვაწეთა წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელშიც ქართველთაგან – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ყურული შედიოდნენ, პეტერბურგს გაემგზავრა. მათ მოახერხეს და შეხვედრა გამართეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან, გრაფ სოლსკისთან და საბჭოს წევრებთან... მიუხედავად შეზღუდული დროისა, მათ შეძლეს საბჭოსათვის დაემტკიცებინათ, რომ ხელისუფლების მხრიდან დაშვებულ ასეთ მოქმედებას ხალხის დამშვიდება კი არა, უფრო მეტი სისხლის ღვრა მოჰყვებოდა... თავის გამოსვლაში ილიამ სახელმწიფო საბჭოს წევრებს მოურიდებლად ისიც კი განუცხადა, რომ არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის, თქვენი ჯარისკაცების სისხლიც დაიღვრება... საბოლოოდ მოხერხდა სპეციალური საარჩევნო კანონის მიღება კავკასიაშიც არჩევნების გასამართავად და თითქმის ერთი თვის დავიანებით მისი ჩატარებაც. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან, ანუ იმდროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, ბათუმ-ყარსის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან, 8 დეპუტატი იქნა არჩეული (გაუ ყორდანი, იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, სერგო ჯაფარიძე, პროკოფი შერვაშიძე, სვიმონ წერეთელი და არტემ აივაზოვი).

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების პარალელურად მოხდა სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია. განახლებული სახელმწიფო საბჭო, ნახევრად არჩევითი ორგანო გახდა, რომელშიც სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ, 1906 წლის 8 აპრილს, ილია ჭავჭავაძეც აირჩია. ამერიიდან სახელმწიფო საბჭოს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, სახელმწიფო სათათბიროსთან შედარებით, ზედა პალატის ფუნქციები მიენიჭა, ანუ სახელმწიფო სათათბიროს მიერ განხილული და მიღებული კანონები, სახელმწიფო საბჭოს დასტურის შემდეგ, საბოლოოდ დასამტკიცებლად ხელმწიფე-იმპერატორს უნდა ეწარდგინებოდა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არსებობის ისტორია ათ წელს (1906-1917) მოიცავს. ამ ხნის მანძილზე ოთხჯერ გაიმართა მისი არჩევნები, რომელთაგან პირველი ორი ნაადრევად იქნა დათხოვნილი, ხოლო მესამე და მეოთხე სათათბიროებმა თითქმის მთლიანად ამოწურეს თავიანთი რწმუნების ვადა. ოთხივე სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს 20 წარმომადგენელი იყო არჩეული; მათგან ორი – პროკოფი შერვაშიძე და კარლო რჩიძე ორ-ორჯერ. საინტერესოა ისიც, რომ ოთხივე მონვევის სახელმწიფო სათათბიროში შექმნილი იყო სოც-დემოკრატების ფრაქცია, რომლის თავმჯდომარეები იყვნენ: პირველისა – ნოე ყორდანი, მეორის – ირაკლი (კაკი) წერეთელი, ხოლო მესამე და მეოთხისა – კარლო ჩხვიძე. სათათბიროში ასარჩევ კანდიდატთა შორის, სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ, ქართველ მოღვაწეთა ისეთი ცნობილი წარმომად-

გენლები, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზი, შიო ჩიტაძე, იონა მეუნარგია, არჩილ ჯაფარიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ იმედაშვილი, მემედ აბაშიძე, ნიკო თავდგირიძე, კიტა აბაშიძე, თეოფილე ხუსკივაძე, გრიგოლ გველესიანი, ლეო ნათაძე, ივანე გომართელი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ჭოლა ლომთათიძე, აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა აღიარებული ლიდერები – ნოე ყორდანი, კარლო ჩხვიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯუღელი, ევგენი გემეტკოვი, აკაკი ჩხენკელი, ვარლამ გელოვანი, ბუდუ მდივანი, იოსებ ბარათაშვილი, არსენ ზურაბაძე, გრიგოლ მახარაძე, გენერალი პროკოფი შერვაშიძე და სხვები. როგორც ამ ჩამონათვა-



კერძოდ, მის ლიდერს, კიტა აბაშიძეს და აბრაღ... მოგვიანებით იგონებდა რა ამ ფაქტს, აკაკი, აღნიშნავდა: „ამ რამდენიმე წლის წინეთ ყვირილაში (დღევანდელ ზესტაფონში - გ. ს.) კენჭი ვიყარე დეპუტატის ამომრჩევლობაზე... ფედერალისტებმა აირჩიეს ბ-ნი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე და ხუსკივაძე; მე კი გამაშავეს და ეს სულ კიტას მეცადინეობა იყო“-ო.

აქედან მოყოლებული, აკაკის მთელი სიცოცხლის ბოლომდე კიტა თავის მტრად მიაჩნდა, რაც კარგად მოესხენებოდა მათ თანამედროვეებს, განსაკუთრებით აკაკის მსუსხავი სტრიქონების მეოხებით, რომლებსაც არაერთგზის შესხვდებოდა მის პოეტურ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში... მაგრამ არც მაშინ და არც შემდგომ არავის უცდას გაერკვია ის მიზეზები, თუ საიდან იღებდა სათავეს მათ შორის ასეთი დამოკიდებულება – რა იყო განმსაზღ-

აპოკრიფის ხმა უნდა ისინებოდეს...

აკაკი წერეთელი და არჩევნების საკითხი

ლიდანაც ჩანს, არჩევნების დროს ყველაზე მეტად ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და სოციალისტ-ფედერალისტები გამოირჩეოდნენ თავიანთი ორგანიზატორულ-პროპაგანდისტული საქმიანობით; ამიტომ იყო, რომ მათი წარმომადგენლები აღწევდნენ კიდევ გადაუტატებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელი, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, თუმცა ყველა მათგანი ცდილობდა, მისი პოპულარობა თავიანთი საარჩევნო სიების დასამშვენებლად გამოეყენებინა. აკაკის მანამდეც დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული სხვადასხვა დანესებულების (ბანკების, საზოგადოებების და ა. შ.) არჩევნებში მონაწილეობის და მისი გაკვირვების საგანი არაერთხელ გამხდარა იქ გამოვლენილი „შენიან-ჩემიანობის“, მძაბიჭობის, ნათესაურ-კლანური დამოკიდებულებანი... მისი თქმით, არჩევნებმა „დიდი ვნება მოუტანეს ჩვენს ცხოვრებას, – გაუღვიძეს საკუჭო სურვილები, გაუხსნეს მადა ზოგიერთ ინტელიგენტებს და ის ჩაადგინეს, რაც საკადრო არ არის და არც წინეთ ფიქრადაც არ მოუფიქრებიათ. ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ ოლონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ...“, მაგრამ ამითაც არ თავდება არჩევნებისას ერთმანეთთან დაპირისპირებით გამოხვეული უსიამოვნებანი, მას გულში იღებენ და „კერძო ცხოვრებაშიაც ერთმანეთზე მიაქტ იერიში“, ანუ „თავის პანანინა თავმოყვარობას, წერილმან კერძობას, უფრო მაღლა აყენებენ საქვეყნო საქმეზე“... სწორედ „ასეთი არჩევნები, ანუ კენჭობა, აკაკის აზრით, ჰრყვნიდა საზოგადოების სულს და გულს და სთესავდა საშვილიშვილო მტრობას“ და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ „ყოველგვარი არჩევანი, საპირადლომდე იყო დაყვანილი და საზოგადოება კი აღარავის აინტერესებდა... მოკენჭე და კენჭოსანიც ასე სჯიდა: „აქამდე ამას უჭამია და ახლა იმან ჭამოსო“, „ეს მეგობარია“, „ამისაგან დავალებული ვარო...“ და ა. შ.

ასე და ამგვარად, ყოველგვარ არჩევნებსა და მასთან დაკავშირებულ დავიდანაბებში, კარგად გაცნობიერებული აკაკი 1906 წელს მონაწილეობას ღებულობს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, როგორც წარმომადგენელი შორაპნის მაზრის თავადაზნაურობისა, მაგრამ იმდროინდელი ტერმინოლოგიით რომ თქვათ, არჩევნების მეორე ეტაპზევე იგი გააშავეს, რაც მისთვის დიდ დასაწყენად დარჩენილა. ეს მარცხი პოეტმა სოციალ-ფედერალისტების პარტიას,

ვრელი: პირადი წყენა, თუ საერო-საქვეყნო საქმეებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება?! ახლა არც ჩვენ შევეუდგებით ამის ვრცლად განხილვას, რადგან რამდენიმე წლის წინათ მასზე ჰქონდა საუბარი (იხ. ყ. „ომეგა“, №6, 2001 წ.), მხოლოდ მოკლედ ვიტყვი: პირადსაც და პარტიულ-პოლიტიკურსაც!.. პირადი წყენა სათავეს იღებდა – ჭიათურის შავი ქვის აღმოჩენასა და მისი მოპოვების საქმეში აკაკის წვლილის როლის დაკნინებაში, ე. წ. „შავი ქვის საბჭოს“ მხრიდან, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კიტა აბაშიძეც იყო და პარტიულ-პოლიტიკურიც, ვინაიდან აკაკის სიმპათიები ქართველი სოც-დემოკრატებისაკენ იხრებოდა, რაც სოც-ფედერალისტების გაღიზიანებას იწვევდა...

ასეთი დაპირისპირება კიდევ უფრო დაუნდობელი გახდა 1912 წელს, ანუ რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიის პერიოდში, როცა ქუთაისის გუბერნიისათვის გამოყოფილი 38 ამომრჩევის არჩევა უნდა მომხდარიყო, ხოლო შემდეგ მათი ხმები სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევ სამ კანდიდატზე გადასაწვდილებოდა. ამიტომ იყო, რომ ხშირად ერთ ხმასაც კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ასეთ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) კარგად იყენებენ აკაკისა და კიტას შორის არსებულ დაპირისპირებას და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წინ აკაკის დათანხმებას ახერხებენ, რათა მას ამომრჩევთა არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. მომენტი საუცხოოდ ჰქონდათ შერჩეული: რაჭა-ლეჩხუმში ტრიუმფალური მოგზაურობიდან დაბრუნებულ აკაკის წინ ვინ გადაელობებოდა?! თანაც ქუთაისის გუბერნიიდან მეოთხე სათათბიროში ასარჩევ დეპუტადობის სამ კანდიდატს შორის ერთი კიტა აბაშიძე იყო, სოც-დემოკრატ ევგენი გემეტკოვთან და პროგრესისტ ვლადიმერ მიქელაძესთან ერთად.

ამასთან, იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ აკაკის მის მშობლიურ ჭიათურა-საჩხერის საარჩევნო უბანში უნევედა გამოსვლა...

კრიტიკოსი ლევან ასათიანი თავის მშვენიერ მონოგრაფიაში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ იგონებდა რა პოეტის ცხოვრების ამ ეპიზოდს, აღნიშნავდა: „შემოდგომაზე (გულისხმობს 1912 წლის შემოდგომა – გ. ს.) აკაკის ცოტაოდენი წყენა შეხვდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით. მოხუცმა პოეტმა კენჭი იყარა რწმუნებულობაზე (რწმუნებულები შემდეგ თავის მხრივ ირჩევდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს – შენიშვნა ავტორისა), მაგრამ მგოსნის მოლოდინი არ გამართლდა: პოლიტიკურმა პარტიებმა გვერდი აუარეს მას და თავიანთი პარტიული კანდიდატები გაიყვანეს არჩევნებში. ამბობენ, როცა „გაშავება“ გაიგო აკაკიმ თურმე ნაღვლიანად იხუმრა: „უზომოდ მიხარია, – იმასაც მოვესწარი, რომ ჩემს სამშობლოში ყველაზე უღირსი მე აღმოვჩნდიო“.

ალბათ გამოჩენილ კრიტიკოსსაც კარგად მოესხენებოდა, რომ ეს არც ისე „ცოტაოდენი წყენა“ იქნებოდა ჯანმრთელობაშერყვეულ მოხუცი მგოსნის გულისათვის, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ აქედან დაიწყო უსიამოვნებათა მთელი კასკადი, რომელიც უამრავ ჭყჭყსა და ნაგავს მიეზიდებოდა პოეტის სახელის შესაბნელავად... მარტო სილოვან ხუნდაძის თავშეუვალებელი გამოსდომები რად ღირს, რომელიც ქუთაისში გამოძავალ გაზეთ „კოლხიდაშია“ დასტამბული... აკაკი ერთხანს თავს არიდებდა მასთან პოლემიკაში შესვლას, მითუმეტეს სილოვანს საკადრისი პასუხი გასცეს გაზეთ „თემის“ რედაქტორმა გრიგოლ დიასამიძემ, რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის მთავარმა ორგანიზატორმა ქაიხოსრო გელოვანმა, ყ. „კლდის“ თანამშრომელმა შალვა ამირეჯიბმა, „თემის“ კორესპონდენტმა, ორნავარმა“ და სხვებმა. მაგრამ, როდესაც მეოთხე სათათბიროს არჩევნების შედეგებზე „სახალხო გაზეთში“ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა სოც-ფედერალისტების ლიდერმა არჩილ ჯორჯაძემ და თავისი პარტიის წევრის სილოვანის მოსაზრებები აკაკის შესახებ გაიზიარა და მოინონა კიდევ: „ქება ბ-ონ სილოვანს ბნაკაკის ავტორიტეტსა და სახელს რომ არ შეუშინდა... ზეცის მოციქული მართლაც წმინდა საქმეს უნდა ემსახურებოდეს, ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა... ბ-ონ აკაკის უფლებება „დასელებს“ (გულისხმობს სოც-დემოკრატებს – გ. ს.) გამოუცხადოს თანაგრძნობა, მაგრამ ამგვარი იდეური სოლიდარობა (თუ არის იგი), არამც თუ ეწინააღმდეგება ბნაკაკის მსოფლმხედველობას, არამედ ყალბიც არის-ო“ და სხვა.

ვიდრე აკაკი არ. ჯორჯაძის ამ გამოსვლაზე რეაგირება მოახდინდა, მანამ გაზეთ „თემის“ „ენმე კალმოსანის“ წერილი იბეჭდებოდა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ბ-ონ არჩილ ჯორჯაძეს სურს მიჩქმალოს ის, რომ ეროვნულ იდეალის მატარებელმა ჯგუფმა გააშავა უბრალო ქართველი მგოსანი კი არა, არამედ ეროვნულ იდეალების გამომსახველი პოეტი, რომელმაც გაგვიღვიძა სურვილი საქართველოს ბედობლისათვის ზრუნვისა და მის მომავალზე ფიქრისა“ და, რომ „არჩ. ჯორჯაძემ თავისი უხერო ქვეით ძირს დაამოხ სწორედ ის დროში, რომელიც აკაკიმ სხვა მესამოცე წლების მოღვაწეობითან ერთად პირველად ააფრიალა ჩვენი სამშობლო ქვეყნის გასახარებლად“. ბ-ნი ჯორჯაძე სილოვან ხუნდაძეს აქტეს აკაკის მიმართ გამოთქმული „გაბედული და სამართლიანი პროტესტის გამო. ე. ი. კარგი ჰქენი მას „მოლაღატე“, „შინაური მტერი“ და „მასხარა“ რომ უწოდებო და სხვ.

№. 7 83.


ხაჯიბას თბილისის ლოიკა არ მოსწონს!

ოპოზიციური აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის რაულ ხაჯიბას განცხადებით, თბილისსა და მის მოკავშირეებში გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის ლოიკა საღ აზრზე მტიაა. ამის შესახებ ხაჯიბამ ჟურნალისტების XX ფესტივალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რითაც გაეროს ტრიბუნლიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. ხაჯიბას თქმით, 2016 წელს ნატოს ვარშავის სამიტზე გადაწყდა, რომ აღიანის შავიზღვის რეგიონში საკუთარ ყოფნას გააძლიერებს, რაც პირველ რიგში კავკასიას გულისხმობს.



„ამ ვითარებაში აფხაზეთი რუსეთის სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ელემენტი ხდება“, – აღნიშნა ხაჯიბამ.

ჯანსუღ ჩარკვიანი: „ვაი, საქართველო, აფხაზის გარეშე!“



აფხაზთი

აღარც შინკუბა გვყავს,
აღარც – მარშანია,
ჩემთვის ის შავი ზღვა
უკვე დამშრალია!
რაც უნდა გეწყინოს,
რაც უნდა გავფიქრებ,
ვაი, საქართველო,
აფხაზის გარეშე!

სიყვარულით

ამას მე ვამბობ
სიყვარულით, სუფთად, ნისიად,
თბილისის შემდეგ
უმთავრესი ქუთაისია!
ეს ჩემი სიტყვა – „სიყვარული“
გახლავთ ქართული,
თბილისის შემდეგ
უმთავრესი არის ბათუმი!
მე მომივლია ქვეყანაზე
ბევრი ქალაქი,
აქ რომ ქარი ქრის,
ისე ქვეყნად ქარი არა ჰქრის!
ფეხზე მკიდა, რასაც ამბობს
ბევრი წურბელა,
ამას რომ ვამბობ,
სიყვარულის ქარი უბერავს!

ჩემო საშობალო!

კაცმა არ იცის, სად მიხვალ,
ხარ სიძულვილის მთესავი,
შენ მთვარესავით ჩადიხარ,
არ ამოდიხარ მზესავით.
გიყურებ მტრობით ჩამომხმარს,
ნეტა, შურიც არ გშვენიოდეს,
მზესავით თუ არ ამოხვალ,
იქ იყავ, მთვარეს ელოდე.
აქეთ აღარ ვართ, ვართ იქით,
დაგლოცავ, გაიხარეო,
რა შვილებსა ზრდი, დაფიქრდი,
ჩემო სამშობლო მხარეო.
მტრობაც ეშმაკმა შეგეყვანა,
გვაქვს ციხე-კოშკიც დაშლილი,
დიდი ილიას ქვეყანაზე,
უარყავ ბერძენთაშვილი.

ააჟულო!

შენი მიწა და შენი ცა
ყმაწვილობიდან შევიცან,
იმ დღიდან გეაღწევი
შენდამი მოძღვნილ ლექსებით.
ამქვეყნად გასაკვირველი
ხარ მსოფლიოში პირველი,
შენს მიწას შენს ცას ვატოლებ,
ვერასდროს ვერ მიგატოვებ!
ჩემი ლექსით და ფან-ხმლებით
შენს სულში დავიმარხებ,
თუნდ მტრისგან თვალდანახული
მთავარი გახლავთ მამული!
და გეტყვი, რა თცნებაც ხარ –
მსოფლიო საოცრება ხარ!

უფლის იპედით

დღითა და ღამით,
კარით-კარამდის,

ჩემი წუხილი
იყო მარადის –
ომი მარტყოფის,
ომი მარაზდის.
ისევ და ისევ
ჩვენს მტერს აღარდებს
ნიკოფსიდიდან
ღარუბანდამდე!
ვით სიყვარული
დიდი მთაწმინდის,
ბაზალეთიდან
ისევ გავზრწყინდით!
ძმობა სხვაგვარი
ნეტა, ვინა სოქვა,
ვიდრე ნოსტესთან,
ვიდრე შირვანთან,
მტრების ჯინაზე
ძმებაც ვერ გვძმობდნენ,
მთელი ცხოვრება
ასე გვეზრძოდნენ!
ვინ გაახარა
ასე ჭილყავი,
ნეტა, ვინა ვართ,
ან ვინ ვიყავით?
იქ, დიდ ძმობასთან
თუმც ვერ მივედიო,
მე მაინც ვცხოვრობ
უფლის იმედით!

მერაბ ბერძენიშვილს

არცერთ თაობას
შენ არ გასცლიხარ,
გამძაფრებული
ფიქრის კაცი ხარ.
შავმა ღრუბელმაც
ვერა დაგაკლო,
კაცო დიდებავ,
ხარ საარაუკო!
შენს ერთგულეზას
მე ვერ გავცდები,
გაქრნენ შენგვარი
ერისკაცები!
კვლავ ძველებურად
ებრძვი ავსულებს,
რაზედაც ფიქრობ,
იმას ასრულებ!
შენსავით ესმის
იმ შენს ძმობიჭებს,
„მშვენიერება
და სიმამინჯე“!

სპანეთი

ჩემვარ მარბიანის გახსენება

შხარა ხარ თუ თეთნული ხარ,
უშა ხარ თუ შხელდა ხარ,
მთავარია, ღმერთს უნდისხარ,
მთავარია, ღმერთთან ხარ!
ხალდე ხარ თუ მულახი ხარ,
ბეჩო ხარ თუ ლატალი,
ღმერთს ზეიდან უნახისხარ,
ღმერთის სიტყვის გამტანი.
ლენტები ხარ? ჯახუნდერი?
სასაში თუ მუაში,
ქართულ მზებზე გახურდები, –
ცის და მიწის შუაში!
უშგული ხარ? კოდორი ხარ?
ბორბობას გასცლიხარ,
მოწყენილი რომ მგონიხარ, –
მაინც, „ზარის“ კაცი ხარ.
მესტია ხარ? ლენჯერი ხარ?
კალა ხარ თუ ჭუბერი,
შენ უფალთან ბევრჯერ მიხვალ, –
ტკბილად ნასაუბრები!
ვერ დაითვლის წამებს დიდხანს,
შენი დამაწყევარი,
მაშ, ვინა ხარ? – სვანეთი ხარ, –
საქართველოს მწვერვალი!

უსნაური სიბერე

ვერა ვარ კარგად,
რეალობა მეთამაშება,
საგულისხმოა,
რაიც ვიციო მე და ბავშვებმა.
რადგან სიბერე
სათნოების გახლავთ ტაძარი,

ცხოვრებისაგან
უღარდელი სიტყვა დავძარი.
სიტყვა, რომელიც
ზმანებათა, წინამორბედა,
ერთ ბედს ვერა ვცნობ,
შეხება მაქვს რადგან ორ ბედთან.
ვაშა, სიბერევე, გაიხარე,
დიდი მადლობა,
შენ ვერაფრითაც ვერ გაჯობებს
ახალგაზრდობა!

გზა სიყვარულით

ცხოვრება ავზე უფრო ავი,
მერე რა, რომ ძველი გედი მღერის,
შეიცანი საკუთარი თავი,
თუ გინდა, რომ გახდე ბედნიერი!
ყველაფერს აქვს საწყისი და ბოლო,
გაიხსენე, როცა სუფრას გაშლი,
სიყვარულის გზით იარე მხოლოდ,
სიძულვილი იძინება ტბაში.

ერთ პრაპოს

შენს გარდევულ სივრცეს,
ჩემი თვალთახედვით,
ვუმზერ, ჰოდა, მჯერა,
რომ ხარ მთლად თავხედი.
ჩემი აზრით, მუდამ
მთავარია სიტყვა,
შენ ქვეყანა გძულს და
არავინ არ გიყვარს!
არაფერი ქვეყნად
შენ არ გენანება,
ყველა გაგიგობს და
ყველა გემაღება!
ყველა ჩუმაღ არის,
ყველა გარინდულა,
კაცი არ ხარ, მაინც
დახვალ რაინდულად!

ანგორ პრქოპაიშვილს

პაპამის უნდა
ექო მაი შვილი,
რომ გამხდარიყო
ერქომაიშვილი.
დიახ, დღეს ამ კაცს
ჰქვია ანგორი
და აქვს მსოფლიო
დაიპაზონი!

პანო პაპლიაშვილს

აქეთ და იქეთ შვენი ზღვარს,
შენ ჩვენი დროის
ხარ მზითვად,
უსასრულოა შენი გზა,
ცხრა მთვართა და
ცხრა მზითა!
გთხოვ, დამიჯერო, თუ ძმა ხარ,
ყველასთვის მაცნედ
შობილო,
ვანო, შენ ჩემი მუზა ხარ,
ღმერთისგან
ღრმად შეცნობილო!
შენ საქართველო
გიყვარს და
გიმზერ
ტკივილით გართულს!
ვაშა, შენს
ქართულ სიტყვას და
შენს ერთგულეზას
ქართულს!

ბიძინას

ახლა რომ გიყევს,
ის ძალი,
ნეტავი, აღრე
სად ეზა?
შენს მიერ
აშენებული
ნეტა, უნახავს
„სამება“?

შურიანი კაცი

შენ გაქვს სიყვარული
ამკარავს და ფარულიც,

ბოლოს ჭეშმარიტება
განდეს ეშმას გვრიტებმა,
შური არ მოგცილდება,
შენთან ასოცირდება!
დიახ, მედი მკაცრია,
მკვეთრი მედიტაცია.
.....
ვით იღბალი წარმართა,
დახვალ კარით-კარამდის,
ჩვენ, ყველანი წავალთ და
შენ იქნები მარადის!

ბიძნას?

სულიერი განცდა –
არის ლოცვა განძთა,
თუმცა მე არ მაწყობს
შენიღბული აწყობა.
არტიტული ეშვი
არს ნეტართა ხელში,
შეუერთდი მტკიცედ
რომანტიკულ სივრცეს.
და თუ გული გიყვებს,
ესე იგი, გიცნეს.
თუნდაც მისხალ-მისხალ,
მთვარის ხარ და
მზის ხარ.
გეშინოდეს, მტერო,
ბორბოტო და შტერო,
ვერ აჯობებ მზეს და
ვერ აჯობებ მთვარეს,
ის, რაც იყო, იყო,
მორჩი, დაამთავრე.

სიღან

მზე და მთვარე – ორივე
სიყვარულის ქნარია,
ციდან რაც მომზადდება,
წვიმა და ქარია.
წარსულის სიდიადეს,
ნეტავი, მანდ ვინ უვლის?
ვაშა, წუთისოფელი,
ცრემლო მარადიულის.

მთვაროს

ვითარ მსოფლიოს
შვეიცარია,
შენ საქართველოს
შვენი ძალიან!
ჰოდა, მადლიან
სიტყვას თუ ვიხმარ,
შენ ჩემი სამშოს
სიყვარული ხარ!

წუთისოფელი

წუთისოფელში შენს ბინას,
აღიარებას ვინ უშლის,
ნეტავი, გამაგებინა,
რა გინდა მარადიულში.
წლები მიწბიან-მორბიან,
ეძებენ ჩვენსა მინუსსა,
წუთისოფელი სკობია
იმ ცოდვილ მარადიულსა.
მე არაფერს არ განვიცდი,
ზეცა დამყურებს მედგარი,
არც რომელში ვარ, არ ვიცი,
ჩემთვისა ვარ და ეგ არი!



ირმა ჩხიქიძე, თამარ და
ჯანსუღ ჩარკვიანები, ირმა ბიძინა

მეხლა ადამიანი რაღაც გარკვეული მისით მოდის ამ ქვეყანად. მისგან მთავარს გამოვყოფდი: ემსახურის თავის ქვეყანას, ჰქონდეს კარგი ოჯახი, აკეთოს სიკეთე... უყვარდეს ადამიანები... მაგრამ მეცნიერის ტვირთი ცოტა უფრო მძიმეა – მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იდგეს ხალხის სამსახურში, ინტენსიურად ეწეოდეს სამეცნიერო მუშაობას, დღედაღამ ზრუნავდეს მაღალპროფესიული ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე, ქმნიდეს და აქვეყნებდეს წიგნებს.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **რევაზ კაკულიას** მეცნიერულ, პედაგოგიურ და სახელმწიფოებრივ საქმიანობას ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს. სტატიაში შევეცდები, მოკლედ შევასხურო მკითხველს გამოჩენილი ქართველი ეკონომისტი ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. სულ ახლახან იგი 80 წლის გახდა.

ბატონი რევაზ კაკულიას ბიოგრაფია 1936 წლის 1 სექტემბერს იწყება. იგი დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში, მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს მან ვერცხლის მედლით დაამთავრა ქ. აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1959 წელს.


რევაზ კაკულიას პროფესიული კარიერა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სისტემაში დაიწყო. 1959-62 წლებში იგი იყო სახბანკოს ქ. თბილისის კალინინის რაიონული განყოფილების მმართველის მოადგილე. 1972 წელს რ. კაკულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ხდება. ამ თანამდებობაზე მან საერთო ჯამში 13 წელი იმუშავა. სამინისტროში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაფინანსებას. ეკონომიკის აგრარული სექტორის პრობლემების ღრმა ცოდნის გათვალისწინებით 1979 წელს რ. კაკულია ჯერ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ – სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. წლების განმავლობაში ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობის დროს რ. კაკულია წარმოიჩინდა, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი, უაღრესად პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური რეფორმებისა და ენსაპერნიმენტების პრაქტიკულ განხორციელებაში, განსაკუთრებით აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში.

რ. კაკულია მრავალი ათეული წლის განმავლობაში ინტენსიურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად 1966 წელს რ. კაკულიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ასპირანტურა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ეკონომიკური აზრის ფულად-საკრედიტო ურთიერთობის განვითარების შესახებ (1900-1917 წლები)“. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ლვანლმოსილი ქართველი ეკონომისტი, პროფესორი სერგი ბერაძე, რომელიც რ. კაკულიას საკვალიფიკაციო ნაშრომს სამაგალითოდ მიიჩნევდა. დისერტაციას მაღალი შეფასება მისცა ოფიციალურმა ოპონენტმა, პროფესორმა (შემდგომში აკადემიკოსმა) ვასილ ჩანტლაძემ.

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ პეტრე ჟღენტის, რჩევით რ. კაკულიამ დაიწყო საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეოთაშორის ორგანიზაციების სანარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კვლევა, რაც საფუძვლად დაედო 1700 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ეკონომიკური განვითარების (მინის ფონდის, ტექნიკის, საბუთო ძალის, ფინანსების და სხვა არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების) გრძელვადიანი პროგრამების შედგენას.

ბატონი რევაზ კაკულიას მიერ აგარულ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები 1988 წელს ცალკე მონოგრაფიის სახით გამოიცა. ნაშ-

რომში განხილულია საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურა, მასში შემავალი საწარმოების ფუნქციონირების პრინციპები, მათი ფინანსური და საკრედიტო ურთიერთობები, ამ საწარმოების სტიმულირების და ეფექტიანობის ზრდის მექანიზმები. აღნიშნულ მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებების ნაწილი საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესში შექმნილი ახალი რეალების გათვალისწინებით აისახა რევაზ კაკული-



ქართული ეკონომიკური სკოლის დიდი მოაზარე

ას სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც 1993 წლის 27 იანვარს წარმატებით დაიცვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1996 წელს რ. კაკულიას მიენიჭა პროფესორის წოდება.

პროფესორ რ. კაკულიას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალი ეტაპი დაიწყო 1991 წელს, როდესაც იგი საქართველოს ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა სამეცნიერო ნაწილში. ამ მდინარე ტრადიციების მქონე სამეცნიერო დაწესებულებაში რ. კაკულიამ 12 წელი იმუშავა. ინსტიტუტში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრასთან, ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებასთან, ეკონომიკის ინდიკატურ დაგეგმვასთან, ახალი საბიუჯეტო სისტემის ფორმირებასა და საბანკო სექტორის განვითარებასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებს.

90-იანი წლების დასაწყისში პროფესორ რ. კაკულიას კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ ნაშევან მიმართულებად იქცა საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების და მისი განხორციელების გზების ძიება, რაც განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ერთიანი ფინანსურ-ეკონომიკური სივრცის რღვევის შემდეგ საქართველოში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესებით და მათი უმოკლეს ვადებში გადალახვის აუცილებლობით. რ. კაკულიამ არც ამჯერად უღალატა თავის მეცნიერულ მრწამსს, რომლის ძირითადი პრინციპი ყოველთვის იყო და არის ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგომი მძაფრი გამონეგების შეფასება და მათზე დაუყოვნებლივ რეაგირება.

2000-იანი წლების დამდეგს პროფესორ რ. კაკულიას უშუალო მონაწილეობით შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკა“. ეს მეთოდიკა არსებითად განსხვავდებოდა რამდენიმე წლით ადრე შემუშავებული ანალოგიური დოკუმენტისგან, რაც განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვრებითა და ინდიკატური დაგეგმვის შინაარსსა და მე-

თოდოლოგიურ საფუძვლებში მათი ადეკვატური ასახვის აუცილებლობით. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა, რომელიც ქვეყანაში 2005 წლამდე მუშავდებოდა, რ. კაკულიას აზრით, ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და რეალური სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებას. ბოლო 12 წელი პროფესორ რ. კაკულია აქტიურად იკვლევს ფინანსურ ეკონომიკას, როგორც ვირტუალურ ეკონომიკას. კვლევის ამ მიმართულებამ თავისი აქტუალურობა დაამტკიცა 2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, რომელიც სწორედ ვირტუალური ფინანსების გლობალიზაციის შედეგად არის მიჩნეული.

მრავალი წლის განმავლობაში რ. კაკულია აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური პროფილის არაერთი სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. საკვალიფიკაციო ნაშრომების და მათი ავტორების შეფასების დროს იგი გამოირჩევა პრინციპულობით და ობიექტურობით (ამ თვალსაზრისით იგი ხშირად უსწრებს მიმდინარე დროის მოთხოვნებს). მისი, როგორც ოპონენტის, გამოხატვა სამაგალითოა დისერტაციის მიმართ კრიტიკული, მაგრამ სამართლიანი მიდგომით. რ. კაკულია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 5 დისერტაციისა და ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად 20-მდე ნაშრომის ოპონენტი იყო. რ. კაკულიას სამეცნიერო მოღ-

ქართული ეკონომიკური სკოლის დიდი მოაზარე

ვაწეობის განუყოფელი ნაწილია მეცნიერული კადრების აღზრდა. იგი ყოველთვის ცდილობდა, მოწაფეებისთვის გაეზიარებინა მდიდარი პროფესიული და აკადემიური გამოცდილება. რ. კაკულიას ხელმძღვანელობით ეკონომიკის 15 აკადემიური დოქტორი მომზადდა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რ. კაკულია პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავდაპირველად ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიკის) კათედრის ლექტორი იყო, შემდეგ მან ამავე კათედრის დოცენტის თანამდებობა დაიკავა (ნახევარ განაკვეთზე). იმავე რ. კაკულია ძირითადად ეკონომიკური თეორიის კურსს კითხულობდა. 60-იანი წლების ბოლოს და 70-წლების დასაწყისში იგი არაერთგზის იყო ამ საგანში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რ. კაკულია შეთავსებით იკავებს უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორის თანამდებობას. ამ დროს იგი კითხულობდა ფინანსების თეორიას და კორპორაციათა ფინანსებს (ძირითადი საგნები), აგრეთვე – ფინანსურ ეკონომიკას (არჩევით საგანი).

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდიუმი განსხვავდა

29 სექტემბერს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიმდინარე, 33-ე სესიის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ, გაეროს 46 სახელმწიფოს სახელით გააკეთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც გამოთქმულია ღრმა შემოწმება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის გამო.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, განცხადება ეყრდნობა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის 2016 წლის 13 სექტემბრის განცხადებას და გამოხატავს ღრმა შემოწმებას საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში კონტროლის განმასრულებელი ძალის მიერ უმაღლესი კომისიის ოფისის წარმომადგენლების შესვლაზე სისტემატური უარის გამო.

განცხადება ხაზს უსვამს რეგიონებში საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელების მნიშვნელობას, დამოუკიდებელი და ობიექტური ანგარიშების მომზადების აუცილებლობას, ასევე უმაღლესი კომისიის ოფისის, სპეციალური პროცედურების მანდატის მფლობელთა, ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების მეტი ჩართულობის საჭიროებას და მოუწოდებს საერთაშორისო აქტორების შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფისკენ.

ამ განცხადებით გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა.

აღსანიშნავია ამ პერიოდში რ. კაკულიას მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, კერძოდ, „ფინანსების ზოგადი თეორია“, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სახელმძღვანელოდ ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ეს წიგნი 5-ჯერ გამოიცა. ნიშანდობლივია, რომ ყოველი ახალი გამოცემა ექვემდებარებოდა საფუძვლიან გადაამუშავებას და შეესვებას, რაც საბიუჯეტო-ფინანსური სისტემის ევოლუციის სახელმძღვანელოში ასახვის აუცილებლობით იყო განპირობებული.

ამ სახელმძღვანელოს გარდა, რ. კაკულიამ ცალკე და კოლექტურად ერთად მოამზადა და გამოცა კიდევ არაერთი სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს საბანკო სექტორსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს, ფულის მიმოქცევას და კრედიტის თეორიას, საერთაშორისო სავალუტო, ფინანსურ და საკრედიტო ურთიერთობებს, საგადასახო საქმეს ფინანსურ ეკონომიკას, საჯარო ფინანსებს, კორპორაციის ფინანსებს, საბანკო საქმეს, ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვას. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მამოწმებული სახელმძღვანელო ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებისათვის ან უშუალოდ პროფესორ რ. კაკულიას მიერ არის შედგენილი, ან კიდევ მისი თანაავტორობით და საერთო რედაქციით. მშობლიურმა უნივერსიტეტმა ღირსეულად დააფასა პროფესორ რ. კაკულიას ღვაწლი და 2010 წელს თავისი უმაღლესი ჯილდოთი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დააჯილდოვა.

რ. კაკულია დღესაც ჩვეული შემართებით მოღვაწეობს უნივერსიტეტში, როგორც მოწვეული პროფესორი. ნიშანდობლივია, რომ ამჟამად იგი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კურსს კითხულობს, ანუ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეკონომიკური მეცნიერების იმ დარგში ეწევა, რომელიც დაიწყო მისი აკადემიური კარიერა. ბოლო რამდენიმე წელია, პროფესორი რ. კაკულია პროდუქტიულად მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორად. აქ იგი ძირითადად მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს უკითხავს საგადასახადო საქმის კურსს. ამჟამად მისი ხელმძღვანელობით სამი დოქტორანტი ამზადებს სადისერტაციო ნაშრომს.

და ბოლოს, ძნელია ერთ საგაზეთო სტატიაში ამომწურავად გაშუქდეს შემოქმედი ადამიანის 80-წლიანი ცხოვრება. ბატონი რევაზი მთელი თავისი შეგნებულ ცხოვრებით, სწორედაც რომ ღირსეულად ემსახურება ხალხს, მეცნიერებას, განათლებას, ოჯახს. ჩვენ, ქართველ ხალხს, ზოგჯერ გავიწყდება თვითნაბად, სულით და ხორციტ მეცნიერების მსახური ადამიანების სიცოცხლეშივე მოფერება და დაფასება. ამ პატარა სტატიით შევეცადე, ჩვენი მასწავლებლის, მეცნიერების ერთი გამორჩეული კოლორიტისთვის საშალოდელი და საქები სიტყვა მეთქვა.

ლაშარა ძოძიაური,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

საზიზი დღეა „კავკასიური სახლის“ ცხოვრებაში – დარსების 20 წლისთავს აღნიშნავენ 2016 წლის 20 მაისს. მართალია ორი წლის დაგვიანებით, მაგრამ ეს რა მოსატანია იმ განსაცდელთან შედარებით, კინაღამ რომ გამოგლეჯდნენ და დაისაკუთრებდნენ ხელი-სუფლებასი გაბატონებული წრეები ამ შენობას – ოფლითა და სიმწრით გადაქცეულს სულიერ, კულტურულ, საგანმანათლებლო და საბოლოოდ კი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კერად, იმ ერთგვარ ოაზისად, სულ რამდენიმე რომ ანათებს ჩვენს ქვეყანაში და ენაცვლება კულტურის სამინისტროდ სახელდებულ, ყოველად ამორფულ და გაუგებარ დაწესებულებას, ყველაფრისთვის რომ სცალია, გარდა ქართული კულტურისა.

გადავივლიდა განსაცდელი ყბადაღებულ ცხრანლიან მმართველობასთან ერთად, მაგ-



რამ მთლადაც არა, ჯერ კიდევ ვადა მოქუფრულიყო „კავკასიური სახლის“ თავზე ღრუბლები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უნდა მიეღწიათ სამართლიანობისთვის და საკუთრებაში დაეკანონებინათ ეს შენობა, გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციის – „ჰორიზონტი“ – მიერ ხელდებული.

დაბ: ოაზისის მოგვარებას გარეგნულადაც, თორემ ღვანლით ხომ არის და არის ოაზისი და სხვაგვარად შეუძლებელიც გახლდათ, ისეთი პიროვნება ჩადგო მოდა სათავეში: ნაირი გელაშვილი – დიდებული მწერალი და არანაკლები რანგის საზოგადო მოღვაწე, ამ საზეიმო დღესაც იმის ნიმუშად რომ აქცევდა, თუ როგორი უნდა იყოს საიუბილეო თავგრილობა – მოხდენილიც, საქმიანიც, დინამიურიც და რაც მთავარია: წრფელი, ასე რომ მოვისაკლისებთ ხოლმე ამგვარი შეკრებებისასაც.

რა გასაკვირია, თავის გამოსვლაში „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელს ელაპარაკა თანამშრომლებსა და მათ დამსახურებაზე და კრინტიც არ დაეკრა თავის პირად ღვანლზე, რისი აღნიშვნაც მე მომიხდებოდა იმ ფონზე, თუ რამხელა მოვალეობა დაჰკისრებოდა და რა წარმატებით აღასრულებდა ამ მოვალეობას ეს კულტურულ-საზოგადოებრივი კერა კავკასიური მთლიანობის განსამტკიცებლად – იდეურადაც, პრაქტიკულადაც...

თუმც ამჯერად ეს ყოველივე ცოტა

იმ ხალხიანი დღის პოლოდინში

სიკლიდან „დროის იარაღი“

ვრცელი შესავალია იმ გარემოების გასახსენებლად, იმ დღეს დიდი ჯაფა რომ დაადგებოდა ვაჟა თაბერძენს – სინქრონიული მთარგმნელის როლში, ქართველების გამოსვლებს ინგლისურად რომ თარგმნიდა, ევროპელებისას კი – ქართულად.

არაერთხელ მქონია შემთხვევა მომესმინა ამ ყაიდის მთარგმნელთათვის – მაინც სპეციფიკური მოვლენა რომ არის და შესაფერისი განაფვაც ესაჭიროება, თორემ ენის თუნდ სრულყოფილი ცოდნაც არა კმარა. თანაც დიდი და მრავალმხრივი განათლება გესაჭიროება, ათასგვარი სიტყვისა და ტერმინის მნიშვნელობაც რომ გესმოდეს და მსჯელობის არსსაც წვედებოდე, რათა ჯეროვნად განაცხადებინო მსმენელს ორატორის გამოსვლის თავისებურებაც, გადამოსცე სიტყვის მდინარეზე და დალაპარაკე, რადგან მართლდენ შინაარსი ბევრს ვერას შეგაცნობინებს. და თვით შინაარსიც ხომ რაც შეიძლება ზუსტი უნდა იყოს!..

მთარგმნელს არტისტიზმიც ესაჭიროება? რასაკვირველია.

და იუმორის გრძობაც? აუცილებლად. და მარტო იმისათვის არა, არ დაგეგმარგოს ის მახვილი სიტყვა თუ იუმორისტული პასაჟი, ორატორი რომ გამოურევს. ეს გრძობაა სწორედ, სიცინცხალითაც რომ ავსებს შენს გარჯას, სილალითა და ძაღდაუტანებლობით.

სინქრონიული თარგმანი არამარტო პროფესია, ხელოვნებაა?

აბა სხვას რას ვირწმუნები. და ამ ხელოვნების მოწმენი გავხდებოდი „კავკასიური სახლის“ ყველა გულშემატკივარი იმ დღესაც, საზეიმო თავგრილობას ვაჟა თაბერძენი იმ დღის სხვის რომ შესძენდა.

რას წარმოვიდგენდი, რომ ის პატარა ბიჭი, რომელიც ყოველთვის წინით ხელში მხვდებოდა ხოლმე ქუთაისში თავბერიძეების ოჯახში სტუმრობისას, ოდესმე ამ ამპლუაშიც თუ მომევიწინებოდა – ჩემი გამოსვლის მთარგმნელად ინგლისურ ენაზე. და თუ მე მომიწევდა ინგლისურად სიტყვის წარმოთქმა, მაშინ ქართულადაც მასვე უნდა მიეტანა მსმენელად.

იმუამად უკვე კარგად იცოდა გერმანული და რუსული ენები.

გარდა ლიტერატურისა, ისტორიისა,

ხელოვნებისა, აინტერესებდა იურისპრუდენციაც.

უყვარდა ექსკურსიებიც, ყველაფერს რომ ისრუტავდა გაფართოებული თვალეზით და ცდილობდა ერთი კუთხე-კუნჭულიც არ გამორჩენოდა, და ფრიალო კლდეებზე აცოცებოდა რომ არ ერიდებოდა, ესეც თავისთავად.

დღესდღეობით ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა საზღვარგარეთ სწავლა და ვაჟაც რიგის უნივერსიტეტში რომ დაამთავრებდა მაგისტრატურას, ერთი წელი ბერლინის უნივერსიტეტშიც მოისმენდა ლექციების კურსს.

და დადგებოდა იმ ახალგაზრდა კაცად, ამ ოჯახს რომ შეჰფეროდა: ელგუჯა თავბერიძისა და ციცილო მუშაძის – ამ გარემოს კულტურის კერად და ოაზისად რომ გადააქცევდნენ... და არამარტო ქუთაისის თვალსაჩინო მოსახლეს. ეს უკვე საერთოქართული მოვლენა იმ ღვანლის წყალობით, უამრავი სასიკეთო საქმე რომ აღსრულდებოდა მათი ხელიდან – გამომზეურდებოდა, გზასავალი მიეცემოდა და დაგვირგვინებოდა დაგვირგვინდებოდა...

და ნიშანდობლივია, რომ ეს სახლი პავლე ინგოროვას სახელობის ქუჩაზე დგას, ამ შესაფერისი სახელოების შერჩევაში კი მნიშვნელოვანი იქნებოდა ოჯახის თავკაცის თავგამოდება...

ვაჟა თაბერძენი იმ ახალგაზრდებს შორისაა, რომელთაც ჩინებულად მოეხსენებათ, სად და რაზედ გაჩერდნენ მათი მამები, რათა იქიდან გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა, ოღონდ მტკიცედ აქვთ გადანიშნული, რომ ოდნავადაც კი არ გამოიყენონ მამების გავლენა თუ ავტორიტეტი – ყველაფერს საკუთარი ნიჭითა და უნარით უნდა მიიღონ.

ამ გზაზე ვაჟასთვის სინქრონიული მთარგმნელის ხელობა თუ ხელოვნება რიგითი ინტერესია, ყველგან, სადაც საქმიანობა უნევს, ამგვარ ინტერესს რომ ავლენს, დაუმცხრალს, გულსისა და გონების პარმონიის ნაყოფს, უკვე რომ მოასწრებდა ინგლისური ენის შესწავლასაც და „კვირის პალიტრის“ ინგლისური ვერსიის – „ჯორჯინჯურნალ“ – რედაქტორობასაც,

და სწორედ ასეთი ენერგიული და მონადინებული ახალგაზრდები ესაჭიროება ტელეკომპანია „იბერიასაც“, რათა თანამედროვე მოთხოვნები ამ გარემოშიც ხელშესახებად აღსრულდეს...

ყველაფერში გასარკვევად არა კმარა შორიდან შეხედვა თანადროული ტექნოლოგიებისათვის?

ესეც ჩვენი ამუამინდელი ახალი თაობის ცხოვრების სტილია – აღმოსავლეთიც და დასავლეთიც თითქოს ხელისგულზე რომ უდევთ და შემთხვევას არ გაუშვებენ, ესა თუ ის ქვეყანა უშუალოდაც არ მოიხილონ და შინაგანადაც არ განიცადონ, თორემ სულიერად ხომ ეზიარებიან და ეზიარებიან იმ უამრავ სიხალეს, ასე რომ ესაჭიროება მცირერიცხოვან ხალხს, ღირსეული სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცებას რომ ესწრაფვის და თითო ღირსეულ კაცს რამდენიმე ტვირთის ზიდვა უნევს.

ამუამინდელი ახალი თაობაო...

და როგორ არ გაგახსენდეს თუნდ: ღვან ბებურიშვილიც, ნიკა მაჭუტაძეც, გიორგი მესხიც, მიხეილ ქოპილაშვილიც... და კიდევ ვინ მოთვლის... და სასიხარულოც ეს არის სწორედ, რომ მართლაც ვინ მოთვლის... და ღმერთმა ინებოს, ყველას გზა სასიკეთოდ წარმართულიყო, რადგან მათი შესაქმნელია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ხელმძღვანელი დღე, და სწორედ ისეთი, ასე რომ გვეოცნებება.

* * *
რას წარმოვიდგენდი, არა, ვაჟა თაბერძენი ოდესმე გვერდით თუ დამიდგებოდა, როგორც... ჩემი საჯარო გამოსვლის ინგ-



ლისურად მთარგმნელი?

კიდევ რამდენი რამ ვერ წარმოგიდგენია, თანდათანობით ჩვეულებრივ ყოფით მოვლენებად რომ შეიძლება გადაიქცეს და გადაიქცევა კიდევ, სულმოუთქმელად რომ ველოდებით... და კიდევ შევიქნეთ ის უშუალო მონაწილე დასავლური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა.

როსტომ ჩხეიძე

დიდ წინაპართა შავონება

ამოგრივლის ხმა უნდა იწონებოდეს...

(გაუმთავრებელი)

არჩილ ჯორჯაძის ასეთი გამოხვლით შეურაცხყოფილი აკაკი, იმავე გაზეთ „თემში“ ბეჭდავს პასუხს – „წერილი ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს“, სადაც ერის ბედზე დაფიქრებულ და მის მოჭირნახულე პიროვნებად თვლის, მაგრამ მისდამი დამოკიდებულებაში შეცდომაში შეყვანილად და მოტყუებულად მიიჩნევს... დასასრულ ერთხელ კიდევ დანვრისებით აღუწერს არჩევნებთან დაკავშირებულ პერიპეტეებს, ხოლო უეჭველობის საბოლოო გარკვევისათვის სამედიატორ საზოგადოებრივი ინვესტი, მაგრამ შემდეგ ითვალისწინებს მძიმედ დაავადმყოფებული მოღვაწის მდგომარეობას და თავისი მოთხოვნა უკან მიაქვს.

ასეთია მოკლედ, აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ზოგადად არჩევნებისადმი, როგორც დემოკრატიული დამშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლისადმი და იმაზეც, თუ რა ბატალიების გადატანა მოუწია თვითონ მას, არჩევნების კამპანიების მიმდინარეობისას. მიგვაჩინია, რომ აკაკის ბევრ მოსაზრებას არჩევნებთან დაკავშირებით თავისი ცხოველმყოფელობა დღესაც არ დაუტოვებდა და კარგს იზამენ დღევანდელ საარჩევნო მართონში ჩაბმული პოლიტიკური პარტიები და ცალკეული პიროვნებები, თუ ყურადღებით მოეკიდებიან დიდ წინაპართა შეგონებას და მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში აკაკის მონაწილეობასთან დაკავშირებით: მიმაჩნია, რომ პირველი სათათბიროს საარჩევნო კომპანიაში მისი მონაწილეობა, თუ რამდენადმე

გამართლებული იყო, მეოთხეში ჩართვა შეცდომად და გაუმართლებლად უნდა ჩაეთვალოს... და აი რატომ!

დიდი ილიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, ქართველი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აკაკი ერის ლიდერად აღიარა, რაც მისი სამხრელი მოღვაწეობის 50 წლისთავის გრანდიოზული აღნიშვნით გამოხატდა... არა ნაკლები მნიშვნელობისა იყო რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობა და საიუბილეო შეხვედრების გამართვები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, თუ მის საზღვრებს გარეთ... ამის შემდეგ, აკაკის აღარ უნდა ეკისრა, რომელიმე პოლიტიკური პარტიის, თუ ჯგუფის მხარდამჭერად გამოსვლა: იგი ყოველი ქართველის მოჭირნახულედ და წინამძღოლად უნდა დარჩენილიყო... მართალია, იმ დროისათვის მისი „დაფი და ნალარა“ ისე თამამად ველარ გაჰყვიროდა, რომ ერის პრაქტიკული მენეჯერობა ეკისრა, მაგრამ იმის უნარი კი შესწევდა, რომ ბრძნული რჩევა-დარიგებებით ხელი შეეწყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და ეროვნული ენერჯის ერთი მიზნისაკენ წარმართვისათვის. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა! აკაკიმ თავისი ბოლო ბრძოლა წააგო!.. მას რომ მეტი პოლიტიკური ალლო აღმოჩენოდა, ანდა მეტი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონოდა, თავს შეიკავებდა ვინრო პოზიციებზე დაშვებისაგან და სრულიად ქართველთა გაერთიანება-შეკავშირებისათვის იბრუნებდა. ამას უფრო მეტის მოტანა შეეძლებოდა ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის საქმეში. დღეს, როცა ვკადნიერდები და ყურადღებას ამაზე ვამახვილებ, ამით მინდა ერის ლიდერობის, პირველკაცობის მსურველთ შევას-

სენო: გადახედონ ისტორიის გაკვეთილებს და დროდადრო გაისიგრძეგანონ წინაპართა მიერ გადადგმული, როგორც გონიერული, ისე მცდარი ნაბიჯები. ერის წინამძღოლობის პრეტენზიის მქონე მოღვაწემ არ უნდა დაუშვას, საკუთარი თანამემამულენი „თავისიანებად“ და „სხვისიანებად“ დაყოს... ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ პირადი ერთგულება, ან მონური მორჩილება ქვეყნისა და ერისათვის სიკეთის მომტანი არასოდეს ყოფილა, ხოლო ისინი, ვინც მათ კარიერისტული მიზნებით ეტმასნებიან, არასანდონი და არასაიმედონი არიან; რომლებსაც ყველა კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლიათ ღალატი, საერო-საქვეყნო საქმიანობის ზურგის შექცევა და სხვათა ბანაკში გადაბარება...

განსაკუთრებული დაფიქრება მართებთ მშობელ ხალხს შორის დამსახურებულ ავტორიტეტმოპოვებულ ერიშვილებს და ხალხს აბსოლუტური უმრავლესობის სიყვარული და პატივისცემა, ვინრო პარტიულ ღირებულებებზე არ უნდა დაასურდაონ. სამწუხაროა, რომ აგერ, ჩვენს თვალწინ, ერთმა ჩვენმა თანამედროვემ, ერის საყოველთაო აღიარებას და პატივისცემას ზურგი აქცია და მხოლოდ ერთი უაფეთორიტეტი და მცირერიცხოვანი ახლადშეკონინებული პარტისი, თუ ბლოკის ლიდერად მოგვევლინა... დიას, პაატა ბურჭულაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი პოლიტიკურ უმწიფარობად მიმაჩნია მეც და ჩემისთანა ათასობით გულშემატკივარს და მისი, როგორც ხელოვანის პატივისცემის...

გელა საითიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



ბასული საუკუნის სამოციანი წლებში ფერუზომ ტრაქტორების გაყიდვით დაგეგმილზე მეტი შემოსავალი მიიღო და ოცნებაც აისრულა: საკუთარ ფარეში ახალთახალი „ფერარი“ დააყენა. ამ ისტორიის მეორე ნაწილი გაცილებით საინტერესოა. „ფერარი“ ფერუზის მოლოდინი ვერ გაამართლა. ფერუზომ არც აცია, არც აცხელა და მანქანის ხარვეზებზე სასაუბროდ პირდაპირ ენცო ფერარის მიადგა, თავისი აზრი გააცნო და პრობლემების გამოსწორებაში დახმარებაც შესთავაზა. თუმცა ენცო ის კაცი არ იყო, ვინმესგან ჭკუის სწავლება მოეთმინა და ფერუზო უკმეხად გააცილა. კიდევ უფრო საინტერესო ამ ისტორიის მესამე ნაწილია: ფერუზომ, რომელიც გვარად ლამბორჯინი იყო, მალევე ლეგენდარული სპორტული მანქანა „ლამბორჯინი“ შექმნა.

ცხადია, რომ მოდერნიზაცია/გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია. ეს თანაბრად ეხება ყველაფერს – ტექნიკიდან დანერგული, სოციალური ან სულაც პოლიტიკური მდგომარეობით დამთავრებული.

ახლა შეგვიძლია მეტაფორებს თავი დავანებოთ და პირდაპირ სატყუარაზე გადავიდეთ: მას შემდეგ, რაც 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმება მოეწერა ხელი, გაჩნდა უდიდესი შესაძლებლობა, რომ საქართველო ევროპულ სახელმწიფოდ იქცეს, სადაც ისეთივე ეკონომიკა იქნება, როგორც ევროკავშირში, ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს კი ისეთივე მაღალი სტანდარტებით დაცვენ, როგორც ევროპაში. მთავარი ის არის, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის სიასლოვეს სულ მალე საქართველოში რიგითი მოქალაქეც იგრძნობს. აი, კონფლიქტურ რეგიონებში – აფხაზეთსა და ენ. სამხრეთ ოსეთში კი, რამდენიც არ უნდა დანეროს და თქვას მოსკოვში, სოხუმსა თუ ცხინვალში მოღვაწე ჩინოს-

ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე და, შესაბამისად, ხელმისაწვდომია ევროპელი მომხმარებლისთვის.

ჯერ კიდევ 2012 წელს ევროკავშირის დაკვეთით მომზადებული ანგარიში – „ვაჭრობის მდგრადობაზე ზემოქმედების შეფასება“ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ამუშავების შემდეგ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით გაზრდასა და ევროკავშირიდან იმპორტის 7.5%-ით მატებას პროგნოზირებდა. ანგარიშის თანახმად, ვაჭრობასთან დაკავშირებული რეფორმების სრული განხორციელება გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს მშპ-ს 4.3%-ით გაზრდის.

DCFTA ოფიციალურად ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა, ხოლო 2015 წლისთვის ევროკავშირში ექსპორტი უკვე 4%-ით გაიზარდა. ზოგადად, ბოლო რამდენიმე წლის

ნაიდან საქართველო ინდუსტრიული ქვეყანა არ არის და განსაკუთრებული კლიმატური პირობებით გამოირჩევა, ჩვენთან ბიო და ნატურალური პროდუქტების წარმოების წილი არსებობს, მოთხოვნიდან გამოდინარე კი, ეს პროდუქცია ევროპაში ძვირად ფასობს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპულ ბაზარზე შესვლის პერსპექტივამ ქართული წარმოების სისტემა მცირედით, მაგრამ უკვე შეცვალა. ფერმერთა ნაწილი ტრადიციული სამეურნეო კულტურების წარმოებიდან ევროპაში მოთხოვნადი, ნიშური კულტურების წარმოებაზე გადადის. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ექსპორტში მოულოდნელად ღვივობა პირველობა თხილს დაუთმო. თხილის წილმა აგროექსპორტში 6 წელიწადში 10 მილიონი ექსპორტიორი უმსხვილესი ქვეყნების ხუთეულში შედის და ევროკავშირის ბაზარზე თურქეთის შემდეგ ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად ითვლება: 2012 წელი – 24 700 ტონა (84 მლნ აშშ დოლარი), 2013 წელი – 39 700 ტონა (167 მლნ აშშ დოლარი), 2014 წელი – 36 200 ტონა (183 მლნ აშშ დოლარი), 2015 წელს კი უკვე 176,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების თხილი გაიყიდა.

წარმატების კიდევ ერთი მაგალითი კვიაა. ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ქსელის – LIDL-ის სუპერმარკეტებში ქართული კომპანია „ნერგეტას“ მიერ ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მოყვანილი კვია იყიდება.

ნიშური პროდუქტის წარმოებამ წარმატება მოუტანა კომპანია „Vanrik Agro Group“-საც. 2014 წელს საქართველოში მოყვანილი 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე გაიტანეს. ამჟამად მისი ექსპორტი რუსეთშიც ხორციელდება. თუმცა თუ რუსეთში 1 კგ ლურჯი მოცვი 3,5 ევრო ღირს, ევროკავშირის ბაზარზე მისი ფასი 4-დან 10 ევრომდე მერყეობს. კომპანია „Vanrik Agro Group“-მა ლურ-



ტრაქტორი თუ ლამბორჯინი?

ასოსირების შეთანხმების რა სიკეთეებზე ამბობენ უარს აფხაზები და ოსები



ნებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა მედიამ, მოსახლეობას ამ დრომდე სიტუაციის რეალური გაუმჯობესების იმედს არ აქვს. არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია, თუ არსებობს ამის სურვილი და, რაც მთავარია, შესაძლებლობა.

იმაზე, თუ რა სუბიექტური და ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს ამ მიმართულებით, არ შეეჩერდები – ამაზე ენ. გამყოფ ხაზს მიღმაც და გამოღმაც 20-ზე მეტი წლის განმავლობაში მიღწეა ითქვას და დაინერა, გამგებმა უკვე გაიგო. მხოლოდ ერთს ვიტყვი ძალიან მოკლედ: როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლაში მთავარ მოკავშირედ რუსეთს განიხილავ, უნდა გახსოვდეს, რა დაემართათ ორი საუკუნის წინათ შავსუფლებსა და უბიხებს – ისინი უბრალოდ გაქრნენ. აფხაზები და ოსები დღეს უკვე თავადაც გრძნობენ ანალოგიურ საფრთხეს (როგორც არ უნდა უარყოფდნენ ამას) და, ალბათ, დროა, თვითგამორკვევაზე ზრუნვის პარალელურად, ალტერნატივებზე დაიჭიროდნენ.

ერთ-ერთი ალტერნატივა მათთვის უკვე შეთავაზებულია, თუმცა უარყოფილი. ყოველ შემთხვევაში – ამ ეტაპზე. ვგულისხმობ ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებისგან მიმავალ რეალურ სარგებელს. გარდა მისი უარყოფის საყოველთაოდ ცნობილი მიზეზებისა, რომელზეც ზემოთ მოკლედ მივანიშნე, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი და ამ ბლოგის მიზანმიმართულად მისი აღმოფხვრისთვის ხელის შეწყობა: ენ. გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრებ რიგით მოქალაქეებს შორის ცოტამ თუ იცის, რა სარგებელი და სიკეთე შეიძლება, მიიღოს ასოციაციის შეთანხმებიდან, როგორ შეიძლება, ეს ყველაფერი მის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე აისახოს და ის უკეთესობისკენ შეცვალოს.

უპირველესად, მნიშვნელოვანია, განვმარტოთ, რომ ასოციაციის შეთანხმებით გარანტირებული თითოეული სიკეთე თანაბრად ეკუთვნის საქართველოს ყველა მოქალაქეს, აფხაზეთსა და ენ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ჩათვლით. ევროკავშირთან ურთიერთობაში განსაკუთრებით მომხიბლველია ვიზალიზირებადი ფაქტორები, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დასასვენებლად, მოკლევადიანი სასწავლო მიზნებისთვის, სამკურნალოდ, ბიზნეს-გარიგებებისა და სხვა მიზნებისთვის უფროდ მოგზაურობას გულისხმობს.

ამას გარდა, უმნიშვნელოვანესია ასოციაციის შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი – DCFTA (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე). DCFTA-მდე საქართველოს ევროკავშირთან GSP-ი და GSP+პრეფერენციათა განზოგადებული სავაჭრო სისტემა ჰქონდა, რომელიც 7200 დასახელების პროდუქტით თავისუფალ ვაჭრობას გულისხმობდა. DCFTA-ს ეკონომიკური რეჟიმის შემოღებით კიდევ უფრო გაიზარდა სატარიფო ხაზი და 9600 დასახელების პროდუქტი საბაჟო და სატარიფო ბარიერებისგან გათავისუფლდა. ამჯერად ჩამონათვაში უკვე საქართველოს ძირითადი საქსპორტო პროდუქტები მოხვდა – ღვინო, თხილი და სხვა.

DCFTA მწარმოებლებს საქართველოდან აძლევს შანსს, ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი პროდუქცია ყოველგვარი გადასახადისა და დაბეგრვის გარეშე შეიტანონ.

რეკლამისთვისაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე საბაჟო ბარიერების მოხსნა: ქართული ნაწარმი ზედმეტი კონტროლისა და ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე დაშვებული

განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა ევროკავშირში შეთანხმებამდე მოიმატა: 2012 წელს 105 900 000 აშშ დოლარის ღირებულების აგროპროდუქტი გაიყიდა, 2013 წელს – 182 600 000 აშშ დოლარის ღირებულების, ხოლო 2014 წელს – 216 405 000-ის. 2015 წელს ევროკავშირში ექსპორტზე შეტანილი ინდუსტრიული და აგროპროდუქტების ღირებულებამ ნახევარ მილიარდ დოლარს (600 მილიონი) გადააჭარბა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით ექსპორტირებული აგრო და ინდუსტრიული პროდუქტების ღირებულება დიფერენცირებულად წელს, ნოემბერში დაზუსტდება.

ექსპერტები პრაქტიკულად თანხმდებიან, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის კუთხით თავისუფალი ვაჭრობა და ამ ტიპის ურთიერთობებისგან მიღებული სარგებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ცხადია, ევროპის სივრცეში უფროდ მიმოსვლის პერსპექტივა ჯიბეგაფხევილი ადამიანისთვის მიმზიდველობას კარგავს. ამის გათვალისწინებით, მთავარი არგუმენტი და ინსტრუმენტი საქართველოს მოქალაქის თვითშეფასების ამაღლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მაინც DCFTA-ია, რომელიც თავისუფალი და გამჭვირვალე ბიზნესის კეთების შესაძლებლობას აჩენს.

როდესაც ბიზნესზე, მეწარმეობასა და სოლიდურ ლეგალურ შემოსავლებზე ვსაუბრობთ, თვალს ყველას ევროკავშირის ბაზრისკენ გაურბის. ამას საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს: 20-ტრილიონიან (წლიური ბრუნვა) ბაზარზე დამკვიდრება ყველას ოცნებაა. ევროკავშირის 28 ქვეყანა 500 მილიონზე მეტი მომხმარებელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია. სხვა ბაზრებთან შედარებით, მისი უპირატესობები შემდეგში მდგომარეობს:

- სტაბილურობა;
- თამაშის გამჭვირვალე წესები;
- დისკრიმინაციის გამართული ქსელი;
- მზარდი ფასები და მოთხოვნა ნატურალურ და ხარისხიან პროდუქტებზე;
- მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე მომხმარებელი.

არავინ დაკობს იმაზე, რომ ალტერნატიული ბაზრების მოძიების პარალელურად, რუსული ბაზარი წარმოებისთვის არ უნდა დაიკარგოს. ბაზრების დივერსიფიკაცია საქართველოს ეკონომიკისთვის დიდი გამოწვევაა. ამ კონტექსტში ადგილობრივმა მეწარმემ უნდა იცოდეს, რომ ევროპელი მომხმარებელი ყოველთვის უფროდ სურსათის შესაძენად სამჯერ მეტს ხარჯავს, ვიდრე რუსეთის მოქალაქე; რუსეთის ბაზრებზე ნისიების სისტემა არსებობს და მეწარმე ვერ იქნება დარწმუნებული, პროდუქციის რეალიზების შემდეგ თანხას მიიღებს თუ არა; პოლიციასთან და კრიმინალურ წრეებთან კორუფციული გარიგების გარეშე მოცულობითი პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. ამის საპირსონედ ევროკავშირის ბაზარზე ყველაფერი გამჭვირვალედ და კანონის ფარგლებში ხორციელდება. რაც მთავარია, მეტი სარგებლის მიღების პერსპექტივაა, რადგან მაღალანაზღაურებად ევროპელებს ხარისხიანი პროდუქტების მაღალ ფასად შესყიდვა უპრობლემოდ შეუძლიათ. ევროკავშირის ბაზრის კიდევ ერთი უპირატესობა ნატურალურ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდაა. ვი-

გი მოცვის გაშენება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში 2012 წლის ბოლოს დაიწყო. ლურჯი მოცვის პლანტაცია ამჟამად 50 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიის მენეჯმენტს უახლოეს მომავალში მეურნეობის 400 ჰა-მდე გაფართოებას გეგმავენ.

უახლოეს ხანში ევროკავშირში ქართული თავლის ექსპორტიც დაიწყება. ევროკავშირის ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტორატის რეკომენდაციით, ევროკავშირში საქართველო მესამე ქვეყნების იმ ჩამონათვაში შეიყვანა, საიდანაც ევროკავშირის ბაზარზე თავლის შეტანა ნებადართულია.

მარტივი ანალიზიც კი საშუალებას გვაძლევს, DCFTA-ს ბენეფიციარად საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე წარმოვიდგინოთ. სამომავლო DCFTA-ს გამოყენებით სარგებლის მიღებაზე აფხაზებმა და ოსებმა უნდა იფიქრონ. მით უფრო, რომ ასოციაციის დღის წესრიგის სამოქმედო გეგმაში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის ეკონომიკის მასტიმულირებელი გარკვეული ღონისძიებებია გაწერილი.

„ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის კანონმდებლობის გადახედვა, როგორცაა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი“, – ასეთ ლოიალურ ჩანაწერს ვხვდებით ასოციაციის დღის წესრიგის სამოქმედო გეგმაში, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს აკისრია.

რამდენიმე წელია, ქართული წარმოების წარმატებული მოდელების შესაქმნელად ევროკავშირი სხვა დონორებთან ერთად მრავალმილიონიანი დახმარების პროგრამებს ასორცილებს. და ამის დამსახურებაცაა, რომ შესაძლებლობის განვითარებისა და ტექნიკური გადაინარჩუნების მიმართულ ნარმატებით ახერხებენ. მნიშვნელოვანია, ყველას ესმოდეს, განსაკუთრებით – სწორედ კონფლიქტურ რეგიონებში, რომ ევროკავშირის მხრიდან ნებისმიერი დახმარება თანამედროვე სანარმოო სისტემებსა და სტანდარტებზე გადასასვლელად პროპორციულად კონფლიქტური რეგიონებისთვისაცაა გათვალისწინებული. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციაციის შეთანხმება თავიდან ბოლომდე ამ სულისკვეთების მატარებელია და არც ერთი ეთნიკური ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭებას არ ითვალისწინებს.

აი, ამ ყველაფერზე ენ. გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრები აფხაზური და ოსური მოსახლეობა ამ დრომდე უარს ამბობს, ან, მინიმუმ, „ქართულ სატყუარად“ აღიქვამს. არადა, სარგებელი ზედპირული ანალიზის საფუძველზეც კი ჩანს. მე რომ აფხაზი ან ოსი ვიყო, სულ მცირე, დავფიქრდებოდი, ან უფრო შორსაც წავიდოდი და ეკონომიკური შინაარსის გარკვეულ ინიციატივებსაც დავაყენებდი.

P. S. ფიეროსსა და შიპსს, დინოზავს მივმლოდ, არაფერი შეიცვალა და ტრაქტორი თუ ლამბორჯინი? – არჩევანის ბაპითება, ალბათ, არც ისე ძნელია.

სააგენტო „აქცენტი“



მონაკვეთი ტენდერზე

საქართველო

„ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი“

სესხი №8377-GE

ხელშეკრულების დასახელება: სადენების, სახაზო არმატურისა და გირლიანდების მონადეზა 220კვ ელექტროგადამცემი ხაზისთვის კოლხიდა-1

ხელშეკრულების/ტენდერის №IDA/TGSP/G/ICB/04-2016

1. საქართველოს მთავრობამ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD) მიიღო სესხი „ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების პროექტის“ დასაფინანსებლად. სესხის ნაწილი მოხმარდება სადენების, სახაზო არმატურისა და გირლიანდების მონადეზას 220კვ ელექტროგადამცემი ხაზისთვის კოლხიდა-1.

2. ს/ს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილ კომპანიებს, 220კვ ელექტროგადამცემი ხაზისთვის კოლხიდა-1-ისთვის, სადენების, სახაზო არმატურისა და გირლიანდების მონადეზასთან დაკავშირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

3. ტენდერი განხორციელდება საერთაშორისო კონკურენტული ტენდერის (ICB) პროცედურების შესაბამისად, როგორც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის გაცემული IBRD-ის და IDA-ს კრედიტების და გრანტების ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციებით - იანვარი, 2011 წელი, განახლებული - ივლისი, 2014 წელი („შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციები“), და მასზე დაიშვება ყველა მონაწილე, რომელიც უფლებამოსილია ტენდერში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, გთხოვთ იხელმძღვანელოთ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მსოფლიო ბანკის წესების 1.6. და 1.7 პუნქტებით.

4. დამატებითი ინფორმაციის მიღება და სატენდერო დოკუმენტაციის ნახვა ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე (ადგილობრივი დროით), შემდეგ მისამართზე:

ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) ბარათაშვილის ქუჩა №2, მე-3 სართული, ოთახი №304, თბილისი 0105, საქართველო
საკონტაქტო პირი: ბ-ნი ავთანდილ ცხვიტავა, საერთაშორისო პროექტების შესყიდვების კოორდინატორი
ტელ.: (995 32) 251 02 64
ელ-ფოსტა: avtandil.tskhvitava@gse.com.ge

5. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად, ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილმა მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი განაცხადი და გადაიხადონ არანაზღაურებადი 300 (სამასი) აშშ დოლარი სატენდერო დოკუმენტაციის თითო ეგზემპლარისთვის; სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული საფასურის (ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე) საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი (SWIFT) და წერილობითი/პირადი განაცხადი ზემოთ მითითებული პირის სახელზე. მოთხოვნას თან უნდა ერთვის სათანადოდ დამოწმებული თანხმებები წერი-

ლი, რომელშიც გარკვევით იქნება განსაზღვრული კომპანიის სახელწოდება და ქვეყანა. მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ გაიგზავნება რეგისტრირებული ფოსტით, თუმცა მის დაკარგვასა ან დაგვიანებით გადაცემაზე „სსე“-ს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა. ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ მოითხოვონ ელექტრონული ვერსიის გაგზავნა ელ-ფოსტის მისამართზე.

საბანკო რეკვიზიტები:

ლარი	
მიმღების ბანკი	Liberty Bank
	Bank Code: LBRTGE22
მიმღები	Receiver: Georgian State Electrosystem JSC
	Receiver's account № GE86LB0114144485353000
აშშ დოლარი	
შუამავალი ბანკი	Deutsche Bank Trust Company Americas, New Your, USA
	SWIFT: BKTRUS33
ბენეფიციარის ბანკი	Liberty Bank, 74, Chavchabadze Str. 0162 Tbilisi, Georgia
	SWIFT: LBRTGE22
ბენეფიციარი	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE59LB0114144485353001
ევრო	
შუამავალი ბანკი	Commerzbank AG, Frankfurt, Germany
	SWIFT: COBADEFF
ბენეფიციარის ბანკი	Liberty Bank, 74, Chavchabadze Str. 0162 Tbilisi, Georgia
	SWIFT: LBRTGE22
ბენეფიციარი	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE32LB0114144485353002

6. სატენდერო წინადადებები მონადეზაზე უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2016 წლის 14 ნოემბრის 15:00 საათისა, ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები საჯაროდ გაიხსნება 2016 წლის 14 ნოემბერს 15:00 საათზე, ადგილობრივი დროით, პრეტენდენტების მიერ განსაზღვრული წარმომადგენლებისა და ნებისმიერი პირის თანდასწრებით, რომელიც გადანყვეტს ტენდერის გახსნაზე პირადად დასწრებას.

7. სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვის 40,000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების სატენდერო წინადადების გარანტია.

8. დამკვეთის მისამართი, რომელზეც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ადრესატი: ბ-ნი სულხან ზუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/რეაბილიტაციის მმართველი
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ. №2, მე-4 სართული,
საკონფერენციო ოთახი №406
ტელ.: (995 32) 251 02 64
ფაქსი: (995 32) 298 37 04

(განცხადების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას).

Invitation for Bids

Georgia

Transmission Grid Strengthening Project

Loan No: 8377-GE Contract Title: Supply of Insulator Strings, Conductors and Fittings for 220kV OHL Kolkhida-1

Reference No. IDA/TGSP/G/ICB/04-2016

1. Government of Georgia has received a loan from the World Bank towards the cost of the Transmission Grid Strengthening Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments under the contract for *Supply of Insulator Strings, Conductors and Fittings for 220kV OHL Kolkhida-1*

2. JSC Georgian State Electrosystem (GSE) now invites sealed bids from eligible bidders for *Supply of Insulator Strings, Conductors and Fittings for 220kV OHL Kolkhida-1*

3. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's *Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers, January 2011, revised July, 2014* ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest.

4. Interested eligible bidders may obtain further information from and inspect the bidding documents at the office of the Employer between the office hours 10:00 to 17:00 (local time):

Georgian State Electrosystem JSC
2, Baratashvili Street, 3rd Floor, Room 301
Tbilisi 0105, Georgia
Mr. Avtandil Tskhvitava, International Projects Procurement Coordinator
Tel: (995 32) 251 02 64
Email: avtandil.tskhvitava@gse.com.ge

5. A complete set of Bidding Documents may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the above address and upon payment of a non-refundable fee of US\$300 (Three Hundred US Dollars) per copy against presentation of evidence (SWIFT) of the effected bank transfer of the fee (payable to the account indicated

below) in writing/in person to the address given above. The request must be accompanied by a duly authorized cover letter, clearly stating the name of the company and the country of domicile. Upon request, the documents will be promptly dispatched by a registered post, but no liability can be accepted for loss or later delivery. The bidders may request for an electronic version to be received by e-mail.

Bank details are as follows:

GEL	
BANK OF RECEIVER	Liberty Bank
	Bank Code: LBRTGE22
RECEIVER	Receiver: Georgian State Electrosystem JSC
	Receiver's account № GE86LB0114144485353000
USD	
INTERMEDIARY BANK	Deutsche Bank Trust Company Americas, New York, USA
	SWIFT: BKTRUS33
BENEFICIARY BANK	Liberty Bank, 74, Chavchavadze Ave., 0162 Tbilisi, Georgia
	SWIFT: LBRTGE22
BENEFICIARY	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE59LB0114144485353001
EURO	
INTERMEDIARY BANK	Commerzbank AG, Frankfurt, Germany
	SWIFT: COBADEFF
BENEFICIARY BANK	Liberty Bank, 74, Chavchavadze Ave., 0162 Tbilisi, Georgia
	SWIFT: LBRTGE22
BENEFICIARY	Beneficiary's name: Georgian State Electrosystem JSC
	Beneficiary's account №: GE32LB0114144485353002

6. Bids must be delivered to the address below on or before November 14, 2016. Electronic bidding will not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be publicly opened in the presence of the bidders' designated representatives and anyone who choose to attend at the address below on November 14, 2016, 15:00 local time.

7. All bids must be accompanied by a Bid Security of US\$ 40,000 (Forty Thousand United States Dollars).

8. The address referred to above is:

JSC Georgian State Electrosystem (GSE)
Attn: Sul Khan Zumburidze
The Chairman of Management Board/Rehabilitation Manager
Conference room no. 406, 4th floor
2 Baratashvili Str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 251 02 64
Fax: (995 32) 298 37 04

სტუმარი

პრემიერ-მინისტრი უფასო პრეზიდენტს უხვდა

საპარტიზოლოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი უფასო ვეროპული ფეხბურთის მმართვე-



ლი ორგანიზაციის (UEFA) ახალ პრეზიდენტ ალექსანდერ ჩეფერინთან გახსნილი სახალხო შეხვედრა გამართა. მასპინძელმა საპარტიზოლო სტუმარს ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა. საგულისხმოა, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელსაც ალექსანდერ ჩეფერინი UEFA-ს პრეზიდენტად არჩევს შემდეგ ოფიციალური ვიზიტით ეწვია. მხარეებმა საქართველოსა და UEFA-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექ-

ტივები, 2017 წელს ჩვენთან გამართ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. გამოითქვა იმედი, რომ საქართველო ღირსეულ მასპინძლობას გაუწევს ევროპის ჩემპიონატს. შეხვედრაზე ალინიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ ფეხბურთის განსავითარებლად ქმედითი ნაბიჯები გადადგა. საზი გაეცა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამის მნიშვნელობას, რომელიც გრძელვადიან ეფექტზეა გათვლილი და პროფესიული საფეხბურთო კლუბების ჩამოყალიბებას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მიზნობრივ პროექტებს ითვალისწინებს. ისიც ითქვა, რომ ერთი წლის განმავლობაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურას დამატებით 10 მილიონი შეემატება, რომლის მშენებლობასაც UEFA-ს დედეგაციის ვიზიტისას ჩაეყარა საფუძველი. UEFA-ს დედეგაციის შემადგენლობაში ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი თეოდორ თეოდორიძის იმყოფებოდა. თამაზ პატარიაძე.

კრივი

მთავარი მწკრივის ახალი აპელა

საპარტიზოლო კრივის ეროვნულმა ფედერაციამ განვლილ ოთხ წელიწადში განეული მუშაობა შეაჯამა. საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე, რომელსაც ქვეყნის ყველა რეგიონიდან 75 დედეგატი დაესწრო, შემდეგ გაიმართა არჩევნები. პრეზიდენტობისთვის კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი - ფედერაციის პრეზიდენტი დავით კვაჭაძე და ეროვნული ნაკრების მთავარი მწკრივით დავით ნიკლაური. დედეგატებმა ხმათა დიდი უმრავლესობით მხარი ნიკლაურს დაუჭირეს, რომელიც ქართველ მოკრივეებს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უთავიკაცებს. პირველ საპარტიზო ვიცე-პრეზიდენტად დავით კვაჭაძე, ვიცე-პრეზიდენტებად - შალვა გოგოლაძე და მამუკა ნიკლაური, ხოლო გენერალურ მდივნად მარიამ დუნდუა აირჩიეს.



გივი ბაგუა. სურათში: დავით კვაჭაძე (მარცხნივ) და დავით ნიკლაური.

ნიგოსნობა

კაპარჭინაზე

აპადემიურ ნიგოსნობა საქართველოს საშემოდგომო პირველობაში, რომელსაც ფოთმა მდინარე კაპარჭინაზე უმასპინძლა, მასპინძლებთან ერთად თბილისის, მცხეთისა და ქუთაისის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მედელები სამ ასაკში გათამაშდა. გაუწევთ გამარჯვებულთა ვინაობას: 1988 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. 2000 მ. ერთადგილიანი წყვილმოსამელიანი ნავი. ერთიანი გიორგი კანთელაძე (ქუთაისი), ორიანი. ნოდარ მარტოლეკი, ოთარ მოთიაშვილი (მცხეთა),

2000-2001 წლებში დაბადებული. გოგონები. 1500 მ. ერთიანი. დალი ჩივაძე (ქუთაისი), ორიანი. თამარ მიქაძე, თამარ რუხაძე (ფოთი), ვაჟები. 2000 მ. ერთიანი. ზურაბ ფურცხვანიძე (ქუთაისი), ორიანი. ზურაბ კინტირაია, ზაურ ჩერნიშოვი (ფოთი). 2002-2003 წლებში დაბადებული. 1000 მ. გოგონები. ერთიანი. თამარ რუხაძე (ფოთი), ორიანი. ლორა ჩორგოლაშვილი, ლოლა ჩორგოლაშვილი (ქუთაისი), ვაჟები. ერთიანი. დემეტრე ლოსაბერიძე (ქუთაისი), ორადგილიანი. გიორგი ანჯაფარიძე, გიორგი ჯგუბურია (ფოთი).

ლაზა დიდი

ჭაღრაპი

მძმნი მოგება და ერთი ფრე - ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ბათუმის „ნონამ“ (კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე) და 13 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა.

შეჯიბრება ლაგოდეხში გამართა და მასში ქვეყნის რვა რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ წრიული სისტემით. ზღვისპირელებს ჩემპიონობისთვის ბოლო ტურში ფრეც ხელს აძლევდათ, ამიტომ დედექალაქელებთან პაექრობისას ბრძოლა არ გაუმწვავებიათ და ექვსივე დაფაზე პარტიები ყაიმით დასრულდა. „ვერცხლი“ ქვემოქართლებს, ხოლო „ბრინჯაო“ დედექალაქელებს ერგოთ. შარშანდელი ჩემპიონი „სამეგრელო“ მეხუთე ადგილს დასჯერდა. VII ტური „ნონა“ - „თბილისი“ 3:3 (დაზავდნენ: დავით ჯოჯუა - ლევან ფანცულაია, დავით მალაღაშვილი - ლაშა ჯანჯღავა, კონსტანტინე შანავა - ზურაბ სტურუა, სალომე მელია - სოფიო გვექტაძე, ტიგრან პარუთი უნიანი-გიორგი სიბაშვილი, დინარა სადუკასოვა - მარიამ ჭოლაძე). „კახეთი“ - „ამბროლაური“ 4.5:1.5 (მიხეილ მჭედლიშვილი - ნიკა ვოლკოვი 1:0, მერაბ გაგუნაშვილი - ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0.5:0.5, ლელა ჯავახიშვილი - ნიკოლოზ კაჭარავა 1:0, ბელა ხოტენაშვილი - ანა

„ნონა“ უკლაველია

გავაშევი 0:1, ირაკლი ბერაძე - ლექსო მეტრეველი 1:0, ნატალია ბუკსა - ანასტასია სიდამონიძე 1:0). „გორი“ - „რუსთავი“ 0.5:0.5 (ზურაბ ლალიძე-თამაზ გელაშვილი 0:1, ალექსანდრე ხახუტაშვილი - თორნიკე სანიკიძე 0:1, ლუკა ლიჩელი - ლუკა პაიჭაძე 0:1, ციალა ქასოშვილი - ნინო ხურციძე 0:1, ვახტანგ კარელიძე - ოლექსანდრ ბორტნიკი 0:1, ლილე ქორიძე - ანა შამათავა 0.5:0.5). „სამეგრელო“ - „ქუთაისი“ 4.5:1.5 (ვაჟე ბაღდასარიანი-ნოე თუთისანი 1:0, გიგა ყუფარაძე-ნიკოლოზ ხაფავა 1:0, ბაჩანა მორჩიაშვილი - ნიკა ხვადაგიანი 1:0, მაია ლომინეიშვილი-მერი არაბიძე 0.5:0.5, ნიკა ლვამბერია - გურამ კოკია 0.5:0.5, სუსანა გაბოიანი - ნინო ჯაღალღონია 0.5:0.5). საბოლოო შედეგები: 1. „ნონა“ (აჭარა) - 13 (საერთო მონაგარი 30.5), 2. „რუსთავი“ (ქვემო ქართლი) - 12 (29.5), 3. „თბილისი“ (თბილისი) - 11 (25.5), 4. „კახეთი“ (კახეთი) - 8 (26), 5. „სამეგრე-

ლო“ (სამეგრელო-ზემო სვანეთი) - 6 (22), 6. „ქუთაისი“ (იმერეთი) - 3 (15), 7. „ამბროლაური“ (რაჭა-ლეჩხუმი) - 2 (11), 8. „გორი“ (შიდა ქართლი) - 1 (8,5) ქული. წლეულს 6-12 ნომბერს სერბული ნოვი სადი ევროპის საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ დროისთვის შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი ვაჟთა 57-მა და ქალთა 14-მა გუნდმა გამოთქვა. ტიტულის შესანარჩუნებლად კონტინენტის ბოლო ორი წლის პირველობის გამარჯვებული ბათუმის „ნონა“ იბრძობებს.

ლელა ცინცაძე



კალათხურთი

ჩინებული დებიუტი „არისში“

ბერძნული კლუბი „არისი“ საკონტროლო შეხვედრის ჩასატარებლად ბუქარესტის „სტიაუს“ ესტუმრა და 91:76 გაიმარჯვა. სანიკიძემ 25 წუთში 6 ქულა, ადენი-

ვე მოხსნა, 3 ჩაჭრა და, რაც ყველაზე თვალშისაცემია, 11 პასი მიითვალა. ვიქტორ სანიკიძემ 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, ბურთი

ერთხელ დაკარგა, 4 პერსონალური ჯარიმა მიიღო და მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ. „არისს“ სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი 8 ოქტომბერს ელის. ამ დღეს სალონიკელები „ტრიკალას“ გაეჯიბრებიან.

ბელა მიძაძე.

ჩავიონთა ლიგა

ფაქორიტების მიმე გაეოსდა

ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრა მადრიდის „ატლეთიკომ“ მიიგო მიუნენის „ბაიერნთან“. მიმედ, მაგრამ მაინც გაიმარჯვა კატალონიის „ბარსელონამ“, პეგ გვარდიოლას ხელმძღვანელობით კი „მანჩესტერ სიტიმ“ პირველად ვერ მიაღწია წარმატებას ეს გლაზგოში მოხდა, „სელტიკ პარკზე“ დრამატულ შეხვედრაში.

გამოუყენებელი პენალტი: მოცი (59). „არსენალი“ - „ბაზელი“ 2:0 (2:0). გოლები: 1:0 უოლკოტი (7), 2:0 უოლკოტი (26).

A ჯგუფი

„ლუდოგორცი“ - „პარი სენ ჟერმენი“ 1:3 (1:1). ამ მატჩში, როცა ანგარიში 2:1 იყო, „ლუდოგორცს“ წონასწორობის აღდგენა შეეძლო, მაგრამ რუმინელმა მცველმა მოციმ პენალტი ვერ გამოიყენა და მალე მისმა გუნდმა მესამე გოლიც მიიღო, რამაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. გოლები: 1:0 ნათანიელი (16), 1:1 მატუიდი (41), 1:2 კავანი (56), 1:3 კავანი (60)

B ჯგუფი „ნაპოლი“ - „ბენფიკა“ 4:2 (1:0). გოლები: 1:0 ჰამპიკი (20), 2:0 მერტენსი (51), 3:0 მილიკი (54, პენ), 4:0 მერტენსი (58), 4:1 გუედემი (71), 4:2 სალვიო (86). „ბუქიქთაში“ - „დინამო“ (კიევი) 1:1 (1:0). გოლები: 1:0 კვარეუმა (29), 1:1 ციგანკოვი (65).

C ჯგუფი „გლადბახი“ - „ბარსელონა“ 1:2 (1:0). გოლები: 1:0 აზარი (34), 1:1 არდა (65), 1:2 პიკე (74).



„სელტიკი“ - „მანჩესტერ სიტი“ 3:3 (2:2). გოლები: 1:0 დემბელე (3), 1:1 ფერნანდინიო (12), 2:1 სტერლინგი (20, ა.გ.), 2:2 სტერლინგი (28), 3:2 დემბელე (47), 3:3 ნოლიტო (55).

D ჯგუფი „ატლეთიკო“ - „ბაიერნი“ 1:0 (1:0). გოლი: 1:0 კარასკო (35). გამოუყენებელი პენალტი: გრიზმანი (84). „როსტოვი“ - ჰსე ეინდჰოვენი 2:2 (2:2). გოლები: 1:0 პოლოზი (8), 1:1 პროპერი (14), 2:1 პოლოზი (37), 2:2 დე იონგი (45). გამოუყენებელი პენალტი: პროპერი (57).

გურამ ვეზაიძე.

მდიდრები და ღარიბები

ჯერჯერობით უპერპუაზიოდ...



ნელვით, ამჟამად საქართველოში უმდიდრესი ხალხი მთლიანი ქონების დაახლოებით 45 პროცენტს ფლობს. ამ ჯგუფის რიცხოვნობა კი, სხვადასხვა გათვლებზე დაყრდნობით, მთელი აღწერილი მოსახლეობის 5-7 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, მეტად არასახარბიელო თანაფარდობა იკვეთება მოსახლეობის ყველაზე მდიდარ და ყველაზე გაჭირვებულ ფენებს თანაფარდობაში: ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე 10 პროცენტის საშუალო ყოველწლიური შემოსავალი, ყველაზე გაჭირვებული მოსახლეობის 10 პროცენტის ყოველწლიურ შემოსავალს 20-ჯერ და მეტადაც აღემატება(!).

მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში ქონებისა და ფულადი სახსრების განაწილების მიხედვით, ქვეყნის უნახავადაც კი, მის შესახებ და იქაური სოციალური თანასწორობის დონის შესახებ მრავალი რამის თქმა შეიძლება.

სავსებით გასაგებია, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის კაპიტალის განაწილება და, შესაბამისად, ყოველწლიური შემოსავლის დონე ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია, რაც, ბუნებრივია, იქაური მოსახლეობის ყოფაზე მკაფიოდ აისახება. ამ მხრივ, ერთობ საგულისხმოა საზოგადოებაში ქონების განაწილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო საკონსალტინგო კომპანიის „ნიუ უორლდ ველის“ სპეციალისტების მიერ ახლახან ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. მათ თანახმად, მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობაში ქონება ყველაზე არათანაბრად რუსეთშია განაწილებული, სადაც თითქმის მთელ ქონებას (88 პროცენტს!) ერთი მუჭა მდიდარი ხალხი ფლობს. მათ შორის, მილიარდერთა ნილად ქონების 26 პროცენტი, მილიონერთა ნილად კი 62 პროცენტი მოდის.

როცა უდიდეს ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ქვეყანაში არსებული მთლიანი ქონების ნახევარზე მეტს ფლობს, იქ სრულფასოვანი საშუალო კლასის არსებობისთვის უაღრესად შეზღუდული არეალი რჩება, - აცხადებენ „ნიუ უორლდ ველის“ ექსპერტები. ამასთან დაკავშირებით კვლევაში ხაზგასმითაა მინიშნებული, რომ მსოფლიოში ყველაზე თანასწორად ქონება იაპონიაშია გადანაწილებული, სადაც ყველაზე შეძლებული ჯგუფის წარმომადგენლები ქვეყნის მთლიანი საერთო სიმდიდრის მხოლოდ მეხუთედზე ოდნავ მეტს, 22 პროცენტს აკონტროლებენ. ამავე დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 33 პროცენტის ფარგლებშია.

ჩვენ, ცხადია, სხვებზე მეტად საქართველოში რეალურად არსებული მდგომარეობა გვიანტერესებს, თუმცა კი, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში ქონების გადანაწილების თაობაზე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებული არ არის, თუმცა კი, კერძო ექსპერტული გათვლებს თუ მოვიშველიებთ და სადღეისოდ უკვე გადანაწილებული ქონების ოდენობით ვიხელმძღვა-

ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ საშუალო კლასი, რომელსაც კლასიკურ პოლიტიკონომიაში „ბიურგერებს“, „ბურჟუაზიას“ უწოდებენ, ყველა ქვეყანაში საზოგადოებისა და, ცხადია, ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს. საქართველოში კი ამ კლასის ჩამოყალიბება-დაღწევის საშველი არა და არ დაადაგა. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა კი მნიშვნელოვანია ერთ-ერთი გამორჩეული გასული საუკუნის მიწურულს აშკარად გადაცდომებით ჩატარებული სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო პროცესი, ასევე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული, ასევე სახელმწიფო ქონების (მინის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების, საწარმოებისა და ა. შ.) მავანთათვის, მაშინდელ სახელისუფლებო ძალასთან დაახლოებულ პირთათვის სიბოლოურ ფასად გადაცემა. ამან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში ქონებრივ-საშემოსავლო ცენტრებს შორის არსებული აშკარად არათანასწორი შეფარდება კიდევ უფრო მეტად გაზარდა. ამდენად, სადღეისოდ საქართველოში საშუალოს ოფიციალური სტატისტიკა მოსახლეობის იმ სოციალურ ფენას მიაკუთვნებს, რომლის შემოსავალი საარსებო მინიმუმს დაახლოებით 3-4-ჯერ აღემატება.

იქიდან გამომდინარე, რომ საარსებო მინიმუმის დაცვის მეთოდოლოგია წლების მანძილზე არაერთხელ გამხდარა ჩვენი კრიტიკული შენიშვნების საგანი, მის აშკარა მოძველებულობასა და თანამედროვე მიდგომებთან უმძაფრეს შესაბამებაში, დღესდღეობით მისი მაჩვენებელი დაახლოებით 157 ლარს წარმოადგენს. ამდენად, ძნელი გამოსათვლელი არ არის, რომ ჩვენში საშუალო ფენას მოსახლეობის იმ ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ, ვისაც ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 600 ლარის (დღევანდელი კურსით დაახლოებით 260-270 დოლარის) ფარგლებში აქვს, რაც ევროპულ სტანდარტებთან ძალიან შორ მანძილზეც არ არის მიახლოებული.

რაც შეეხება უმდიდრეს ქართველთა სიას, რომელთა ქონების აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა, მის სათავეში ბიძინა ივანიშვილია, შემდეგ მოდიან ტარიელ ვასაძე, ნიკოლოზ გოგიტიძე, დავით იაკობაშვილი, თენგიზ ხასაია, სხვები.

ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

ბატონო ლაშა, დიდად ვწუხვარ, რომ ჩემი თბილისში არყოფნის გამო, სრულად ვერ გამოვხატე ის დიდი მწუხარება, რომელიც თქვენ ოჯახს და პირადად თქვენ დაგატყდათ თავზე თქვენი ძვირფასი დედის, ქალბატონ

ნიკო ოქროსსვარიძის

გარდაცვალების გამო. ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახის თითოეული წევრი ღრმა თანაგრძნობას გიცხადებთ და თქვენ გვერდით ვდგავართ ამ განსაცდელის ჟამს.

ბრიზა ონიანი ოჯახით.

ფრიდონ ინჯია ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს გაზეთ „საავალ-დასავალს“ მთავარ რედაქტორს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს დედის

ნიკო ოქროსსვარიძის

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს თქვენს ლამაზ სულს, ღირსეული ქართველო ქალბატონო.

შპს „ენგურპეის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ზვიად კილასონიას საყვარელი დედის, ქალბატონი

ზოია ბარულავას

გარდაცვალების გამო.

ვაჟა მეტრეველი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა საუკეთესო ქართველი ვაჟკაცი

ამირან სიჭინავა

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, კოლეგებსა და მეგობრებს.

ლიბერთი ბანკის მპარსველვა პოლისიელი დაჭრა!

გლდანში, ლიბერთი ბანკის ფილიალის ძარცვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

რაც შეეხება შემთხვევის დროს დაჭრილ პირს, შსს-ში ადასტურებენ, რომ დაშავებული პოლიციელია.

ამჟამად თავდამსხმელი პირის დასაკავებლად საგამომძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.



გუშინვე ცოტენ დადიანის გამზირზე, ნაძალადევის რაიონში ლიბერთი ბანკის კიდევ ერთი ფილიალის გაძარცვა სცადეს.

კალოვნება 2009-2011 წლებში გადასული საბრძოლო მასალა აპოილუს

შს სამინისტრომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მასალასა და ცეცხლსასროლ იარაღის მარაგს მიაკვლია.

შს ინფორმაციით, იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებები, მათ შორის ტროტული და სხვადასხვა სახის ყუმბარები საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რაიონში იყო დამალული. მათივე ინფორმაციით, იარაღი და საბრძოლო მოწყობილობები 2009-2011 წლებში გადაიმალა. იარაღი ნორიოსა და გორის მიმდებარედ, საგურამოსა და თბილისში ტყის მასივში იპოვეს და ამოიღეს.

საბურთალოს რაიონში საყრდენი კედლების მუშაობა გრძელდება

საბურთალოს რაიონის გამგეობა, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მონაკვეთებზე, საყრდენი კედლების მშენებლობას აგრძელებს. ამჟამად, სამუშაოები ნუცუბიძის ქუჩის 14 ბ-სთან მიმდინარეობს, სადაც საყრდენ კედელთან ერთად კიბე ეწყობა.

სამუშაოები დასრულებულია ნასიძისა და ჩიქოვანის ქუჩების კვეთაზე, სადაც მშენებლობის დაწყებამდე არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს. კედელზე დამონტაჟდა მოაჯირები და მოასფალტდა მიმდებარე ტერიტორია.

საყრდენი კედელი აშენდა ლიხაურის 45-ა-სთანაც, სადაც ასე-

ვე იშლებოდა ფერდი და მინა ადგილობრივი მოსახლეობის ეზოებში იყრებოდა, რაც სიცოცხლისათვის საფრთხეს წარმოადგენდა.

საყრდენი კედელი მოეწყო ფანასკერტელის №20ა-სთანაც, სადაც მანამდე ასფალტი დაიგო კორპუსის შიდა ეზოსა და მისასვლელ გზაზე.



აქოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქციის გამოფენა

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრმა თბილისში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“ - მიიღო მონაწილეობა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციის მთავარ მიზანს დამსწრე საზოგადოებისთვის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ეკოლოგიური პროდუქციის წარმოების მნიშვნელობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა წარმოადგენს.

კონფერენცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ გახსნა. კონფერენცი-

ის მონაწილეებს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურმა სიტყვით მიმართეს.

„მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურობის ზრდის, სასურსათო უსაფრთხოების უზენებლობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ნინაპირობაა“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებმა დარგობრივად წარმოადგინეს პრეზენტაციები, კვლევე-

ბი და მოხსენებები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, ასევე, განიხილეს თანამედროვე ტექნოლოგიების როლი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საკითხში და შედეგებზე იმსჯელეს.

კონფერენციის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრმა, სხვა მწარმოებლებთან ერთად, წარმოადგინა უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები: ნექტარი, წვენი, დეალკოპოლიზებული ღვინის სასმელები, მურაბა, კომპოტი, ლიმონათი და გაყინული/მშრალი ხილი. ღონისძიების მიზანს ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია და მცირე საწარმოების მხარდაჭერა წარმოადგენდა.

საფოსტო მარკები: „სიყვარულის ისტორია“



საფოსტო მარკის კავშირს სასიყვარულო თემასთან დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც, ფაქტობრივად, პირველი საფოსტო მარკის გაჩენის ამბავს უკავშირდება.

მანამდე, ვიდრე ევროპაში საფოსტო მარკებს შემოიღებდნენ, კორესპონდენციის ადრესატამდე მიტანაში შიკრიკები საკმაოდ დიდ გადასახადს იღებდნენ და წერილის გახსნის უფლებას მას მხოლოდ ფულის მიღების შემდეგ აძლევდნენ. ამდენად, ბევრ ღარიბ ოჯახს ამ ხარჯის გაღება არ შეეძლო, არადა ახლოობები ხშირად ერთმანეთისგან შორს ცხოვრობდნენ, კავშირის სხვა საშუალებები კი იმ დროს არ იყო. ამიტომაც, ერთმა უფულო შეყვარებულმა ინგლისელმა წყვილმა ერთმანეთის ამბის გასაგებად და საკურიერო გადასახადისგან თავის დასაღწევად, ერთობ უჩვეულო ხერხი მოიგონა. განშორების გატანჯულმა ახალგაზრდებმა მოილაპარაკეს ერთმანეთისადმი გაგზავნილ წერილებზე პირობითი ნიშნების დახატვა. თუ ყველაფერი რიგზე იყო, ისინი წრეს ხატავდნენ, თუ რომელიმეს

დახმარება სჭირდებოდა, ანდა პრობლემა შეექმნებოდა – სამკუთხედს. ასე, გადასახადის გადაუხდელოდ, ისინი ერთმანეთის ამბის გაგებას ახერხებდნენ.

ერთხელ წერილის მიღებისას ქალიშვილმა დახედა მას, წაუკითხავად დაუბრუნა შიკრიკს და ეს საქციელი უფულობით ახსნა. შორიანხლოს მდგარ ვიდაც ჯენტლმენს, რომელიც ამ ამბის უნებლიე მოწმე გახდა, შეებრალა ქალიშვილი და შიკრიკს ფულის გადახდა შესთავაზა, რომ ადრესატს წერილის ნაკითხვის შესაძლებლობა ჰქონოდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალიშვილი იძულებული გახდა გულმონყაყლე კეთილშობილი კაცისთვის სიმართლე ეთქვა. ამ და სხვა უქონელთა გასაჭირით შეწუხებულმა ჯენტლმენმა საფოსტო კორესპონდენციის მიღების ყველასათვის მოსახერხებელი ერთიანი პროექტი შეიმუშავა – ეს იყო ბარათზე დაწებულ საფოსტო მარკების დახატვის საფასურის გადახდის ნიშანი – და იგი მთავრობას შესთავაზა.

ასე გაჩნდა პირველი საფოსტო მარკები.

ანეკდოტები

– გიბი, ბუჯო, რაფერ უნდა ფულის შოვნა? მე და ჩემმა ცოლმა მისთვის არც ახალი კაბა ვიყიდეთ, ბაღს არც ხილი ვუყიდეთ, არც ტორტი, არც ქაღალდის შეფიქრებულ და აღარც შამპანური. ჰოდა, წარმიდგინე, ერთ დღეში ჩვენმა შემოსავალმა 3 ათას ლარს გადააჭარბა ანა.



ავტოსარკისში:
კლიენტი ყურადღებით კითხულობს მომსახურებაში გამოწვეული ქვეთარს და ხელოსანს ეკითხება:
– ეს რა არის, პატივცემულო, „თხლა“ – 300 ლარი.
ხელოსანი კალამს იღებს და ეკითხება:
– არ თხლა? ჰოდა, ამოვშალეთ, რა პრობლემაა?!

* * *
– ამბობენ, რომ ფეხშიშველა სიარული ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.

– მართალი ხარ შენ, ხომ იცი! მეც არა ვთქვი, რატომღა დილაობით ლოგინში ფეხსაცმლით რომ მელვძიებ, სულ თავი რატომ მტკივა-მეთქი?!

* * *
მართმართის ორი მონადირე ხვდება.

– რა ქენი, მონადირე რამე?

– კი კაცო, ბლომად ზღარბები დავხოცე!

– ჰო, მაგრამ ზღარბები რა ჯანდაბად გინდა?

– როგორ თუ რად – ცოლს ქურქზე საყვარლოს გაფუკეთებ, სიდედრს კი მათ ქუსლიან ფეხსაცმელში ჩავუფუნ...

* * *
– მარო, შენი ქმარი პროფესიით ვინაა?

– ალკოჰოლიკი.

– კი მაგრამ, ეგ ხომ ხელობა კი არა, გატაცებაა?

– კი ბატონო, გატაცებაა, მაგრამ იგი მას იმდენად სერიოზულად ეკიდება, რომ...

საახალწლოდ ყველაზე პოპულარული მიმართულებების TOP-10-ში თბილისის მოხვდა

თბილისი ტურისტებისათვის ახალი წლის გასატარებელ TOP-10-ში შედის.

სასტუმროების საძიებო სისტემა RoomGuru.ru-მ საახალწლოდ ყველაზე პოპულარული მიმართულებები გამოავლინა. თბილისი რეიტინგში მეცხრე ადგილზეა.

ინტერნეტპორტალის მონაცემებით, რეიტინგი ჯავშნებისა და გაყიდვების მიხედვით 31 დეკემბრიდან 8 იანვრამდე პერიოდს მოიცავს.

„პრალა, მინსკი, ტალინი, ბუდაპეშტი, ჰელსინკი, რიგა, ბაქო, სტამბოლი, თბილისი და ერევანი – ეს საახალწლოდ პოპულარული მიმართულებების TOP-10-ია“, აღნიშნულია ინფორმაციაში.

ნანადირებულთა ენა

ეპოქის გრძელ გზაზე, ადამიანთა მოდგმას განსტოვება ჰქონდა, რომელსაც ნანადირებულ ენოდება. აღსანიშნავია, რომ ანთროპოლოგიური მონაცემებით, ნანადირებულთა თანამედროვე ადამიანებს გაცილებით ჯაბნინდნენ.


მათი ჩონჩხის ძვლებით თუ ვიმჯვლებით, ისინი ჩაფსკვნილნი და მძლავრი აღნაგობისანი უნდა ყოფილიყვნენ. ამ „ნავარჯიშეშემა“ არსებებმა ევროპაში 300 ათასი წლის წინათ დაიდეს ბინა, აფრიკიდან გამოსული ჩვენი უშუალო წინაპრები კრომანიონელები კი ევროპის ავანსცენაზე პირველად 40-50 წლის წინათ გამოჩნდნენ. მაგრამ, გასაცარი ისაა, რომ თანაარსებობის 20 ათასი წლის მანძილზე მათ ევროპიდან სრულიად განდევნეს თავიანთი ფიზიკურად გაცილებით უფრო ძლიერი მეტოქეები.

საინტერესოა, მაინც როგორ შეძლეს ამ სუსტმა არსებებმა ესოდენ შთამბეჭდავი ნარმატების მოპოვება?

დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ამის გაკეთება კრომანიონელებმა იმიტომ შეძლეს, რომ ნანადირებულთა გაცილებით გონიერები იყვნენ. კერძოდ, ანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ ნანადირებულებს, ჰომო საპიენსისგან განსხვავებით, განვითარებული მეტყველება არ ჰქონდათ. პრიმიტიული ლექსიკის მქონე არსებებს ნადირობისა და ომივით რთული სოციალური პროექტების წარმატებით განხორციელების ძალა არ შესწევდათ. მაგრამ ახალი ინგლისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ეს შეხედულება უარყვეს. კომპიუტერული მიკროტომოგრაფიის მეშვეობით მათ ნანადირებულის ენის ქვეშა ძვალის შეისწავლეს და კუნთოვან ქსოვილთა განთავსების გეომეტრია

დაადგინეს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მათ ნანადირებულთა მეტყველების აპარატი შექმნეს, რის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ თანამედროვე ადამიანებზე მეტყველება შეეძლოთ! თურმე ნანადირებულთა მეტყველება შეეძლოთ სიცოცხლის დროს, რომელიც მეტყველებაზე პასუხისმგებელი.

მაშ, როგორღა მოხდა, რომ კრომანიონელებმა „ევროპის კომფორტული ბინიდან“ „მხეცი“ ნე-



ანდერტალელების „გაყვანა“ შეძლეს? მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამაში მათ ენერჯის ხარჯვის თვალსაზრისით უფრო ეკონომიური კონსტრუქცია დაეხმარათ. დიდი ფიზიკური ძალის მქონე ნანადირებულთა დღე-ღამეში 200-300 კილოკალორიით მეტის ხარჯვა უწევდათ, ვიდრე ჩვენს წინაპრებს. შესაბამისად, მწირი საკვები რესურსების პირობებში კრომანიონელებს უფრო მრავალრიცხოვანი შთამომავლობის გამოკვება შეეძლოთ, ამდენად, მათ კონკურენტებს ნაყოფიერებით აჯობეს.

განსხვავება

იხილვება დიდი დილმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდ მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გაღავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ქიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იხილვება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულაძე
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანიშვილი
599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემელი:
შპს „თანადგომა“-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთი, აუსილებლად წაიკითხე!

სა	რედაქცია: საფოსტო ყაღაპის კარგი: საფოსტო ყაღაპის კარგი - 2.3276; კარგი - 2.6174; ბრიტანული პირველი სტარტაპი - 3.0163; 100 რუბლი - 3.6478; ოქროსი ლირა - 0.7828; საქართველოს მანათი - 1.4047; 1000 სოფელი ღრამი - 4.9116.	აივანი 30 სექტემბრისთვის აქციონერული საპროგრამა: ბაზი - ლაშ +8, ლაშ +21 პირველი რაიონი - ლაშ +2, ლაშ +16 დასავლეთი საპროგრამა: ბაზი - ლაშ +8, ლაშ +20 პირველი რაიონი - ლაშ +2, ლაშ +14 თბილისი - ლაშ +12, ლაშ +18	დაგვიკავშირდით: მოგვწერეთ: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE
	სა		